

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

---

---

ISSN 1512-0996

გ რ მ ა გ ბ 0  
TRANSACTIONS  
Т Р У Д ы

№4(490)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ  
2013

## **სარედაქციო კოლეგია:**

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ქლიმიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. გასიტაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრალავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბშილავა, თ. ამბროლაძე, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ჯ. ბერიძე, თ. გაბადაძე, ჯ. გახოკიძე, თ. გელაშვილი, ა. გიგინეიშვილი, ალ. გრიგორელიშვილი, ე. ელიზბარაშვილი, ს. ესაძე, ვლ. ვარდოსანიძე, უ. ზვიადაძე, თ. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ზ. კიკნაძე, მ. მეგრელიძე, ა. მინაძე, ი. მვეულავა, ტ. კვიციანი, თ. ლომინაძე, ი. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, ა. მოწონელიშვილი, დ. ნატროშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, შ. ნემსაძე, დ. ნოზაძე, გ. სალუქვაძე, ქ. ქოქრაშვილი, ე. ქუთელია, ა. შარვაშიძე, მ. ჭხეიძე, თ. ჯაგონიშვილი, ნ. ჯიბლაძე, თ. ჯიშკარიანი.

## **EDITORIAL BOARD:**

A. Prangishvili (chairman), L. Klimiashvili (vice-chairman), Z. Gasitashvili (vice-chairman), A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava, T. Ambroladze, E. Baratashvili, T. Batsikadze, J. Beridze, T. Gabadadze, J. Gakhokidze, O. Gelashvili, A. Gigineishvili, Al. Grigolishvili, E. Elizbarashvili, S. Esadze, Vl. Vardosanidze, U. Zviadadze, O. Zumburidze, D. Tavkhelidze, Z. Kiknadze, M. Mesksi, B. Imnadze, I. Kvesselava, T. Kvitsiani, T. Lominadze, I. Lomidze, M. Matsaberidze, T. Megrelidze, A. Motzonelidze, L. Mdzinariashvili, D. Natroshvili, N. Natsvlishvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze, G. Salukvadze, K. Kokrashvili, E. Kutelia, A. Sharvashidze, M. Chkheidze, T. Jagodnishvili, N. Jibladze, T. Jishkariani.

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

А. Прангишвили (председатель), Л. Климиашвили (зам. председателя), З. Гаситашвили (зам. председателя), А. Аbralава, Г. Абрамишвили, А. Абшилава, Т. Амброладзе, Е. Бараташвили, Т. Бацикадзе, Дж. Беридзе, Т. Габададзе, Дж. Гахокидзе, О. Гелашвили, А. Гигинеишвили, Ал. Григолишвили, Э. Элизбарашвили, С. Эсадзе, Вл. Вардосанидзе, У. Звиададзе, О. Зумбуридзе, Д. Тавхелидзе, З. Кикнадзе, М. Месхи, Б. Имнадзе, И. Квеселава, Т. Квициани, Т. Ломинадзе, И. Ломидзе, М. Мацаберидзе, Т. Мегрелидзе, А. Моционелидзе, Л. Мдзинаришвили, Д. Натрошвили, Н. Нацвалишвили, Ш. Немсадзе, Д. Нозадзе, Г. Салуквадзе, К. Кокрашвили, В. Кутелия, А. Шарвашидзе, М. Чхеидзе, Т. Джагоднишвили, Н. Джибладзе, Т. Джишкариани.



საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013

Publishing House “Technical University”, 2013

Издательский дом “Технический Университет”, 2013

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



# შინაგასი

## სამთო-გეოლოგია

თ. ჯიქია. არიდული კლიმატის ზონებში გუნებრივი მასალების გამოყენებით	9
მცხოვრები საფარის შექმნა .....	
თ. ჯიქია. ეპოლოგიური ტრნასტორობის აღდგენა გუნებრივი მასალების გამოყენებით .....	12

## შინაგა ტექნოლოგია, მეტალურგია

ქ. გუბელაძე. კლასტიკიკატორების გავლენა გუტადიენ-ნიტრილური ელასტომერების (ნეპ-40) ვალკანიზაციების სტრუქტურაზე.....	16
ქ. გუბელაძე. დევორმაციისა და კლასტიკიკაციის გავლენა რეზინის ვალკანიზაციური გადის ძვრადობაზე.....	20
მ. ძეკონსკაია, ს. კოპალეიშვილი, ლ. თოფურია, ნ. კანთელაძე. ლუდის წარმოების ძარხენის წყლის შინაგა შედგენილობა .....	25
მ. ძეკონსკაია, ს. კოპალეიშვილი, ლ. თოფურია, ნ. კანთელაძე. სამადუდო – ლუდის წარმოების სანიტარიულ-ჰიგიენური კონტროლი და წარმოებაში გამოყენებული გადახილი ციცაციურები საშუალებები .....	30
ჯ. ლომსაძე, ა. მებონია, ზ. ლომსაძე, ს. მებონია. ბორბოლაჭებიან მატრიცებში საკონტაქტო და ადიდვის ძაბვების თეორიული განსაზღვრა .....	33
რ. გვეტაძე. ძელებარიული მხატვრული სხმულები .....	36
რ. გვეტაძე. დევორმირებადი კონსტრუქციები თუკის ტექნოლოგიური თვისებების რეგულირება .....	44

## სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა

ნ. ნაგაძე, ბ. სოსელია. საავტომობილო პარკის ტექნიკურად გამართულობის და შრომისუნარიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებები .....	48
---	----

## ბიზნესინჟინერინგი

გ. სულაშვილი, ს. ჯაფარიძე. ბადასახადები, როგორც თანამედროვე ეკონომიკის განვითარები ნაზილი და მისი სრულყოფის აერსაექტივები .....	52
გ. სულაშვილი, ს. ჯაფარიძე. ბადასახადების სტრუქტურა და მისი ოპირატური აუცილებლობა .....	54
ნ. ფაილოძე, ა. კობიაშვილი, კ. რამაზაშვილი. ეპონომიკური ინფორმაციის გადამუშავების ეფექტური სისტემები .....	57
ნ. ფაილოძე, ა. კობიაშვილი, კ. რამაზაშვილი. მირითადი საშუალებების ცვეთის განსაზღვრის მეთოდიკა .....	61

## ინფორმატიკა, მართვის სისტემები

ი. კუცია, გ. კეკენაძე. სამსახურის ბრძელავრიოდიან ნაზილში რხევების სეისმური კვლევა .....	64
---	----

<b>რ. კაპუბაგა, გ. ფიფია, გ. მაკასარაშვილი, დ. სიხარულიძე. დარეზემრვებული სისტემის რიცხვითი მახასიათებლები აღდგენისა და პროცესილაპტიკის შემთხვევაში</b>	<b>67</b>
<b>რ. კაპუბაგა, გ. ფიფია, გ. მაკასარაშვილი, დ. სიხარულიძე. დარეზემრვებული სისტემის აღგათური მოდელირება აღდგენისა და პროცესილაპტიკის შემთხვევაში</b>	<b>71</b>
<b>გ09ტექნოლოგის ცენტრი</b>	
<b>თ. შამათავა. გ09საწვავის თაობების ანალიზი საჭარიველოს პირობებისათვის</b>	<b>75</b>
<b>გ. დგალი, ნ. ლომთაძე. პრისტონული კულტურების რიზოსფეროს მიკროორგანიზმები და მათი ურთიერთანთაბონისტური დამოკიდებულება</b>	<b>79</b>
<b>ავტორთა საძიებელი</b>	<b>83</b>
<b>ავტორთა საყურადღებოდ</b>	<b>84</b>

# CONTENTS

## MINING AND GEOLOGY

<b>T. Jikia.</b> CREATION OF VEGETABLE COVER USING NATURAL MATERIALS IN ARID ZONES .....	9
<b>T. Jikia.</b> RESTORATION OF ECOLOGICAL EQUILIBRIUM USING NATURAL MATERIALS.....	12

## CHEMICAL TECHNOLOGY AND METALLURGY

<b>Q. Gubeladze.</b> THE INFLUENCE OF PLASTICIZERS ON THE STRUCTURE OF BUTADIENE-NITRILE ELASTOMERS VULCANIZATES.....	16
<b>Q. Gubeladze.</b> THE INFLUENCE OF RUBBER DEFORMAFTION AND PLASTICIZATION ON VULCANIZATION GRID MOBILITY.....	20
<b>M. Dzekonskaia, S. Kopaleishvili, L. Topuria, N. Kanteladze.</b> THE CHEMICAL COMPOSITION OF THE WATER, USED IN BEER PRODUCTION .....	25
<b>M. Dzekonskaia, S. Kopaleishvili, L. Topuria, N. Kanteladze.</b> THE SANITARY - HYGIENIC CONTROL AND DISINFECTANTS APPLIED IN FERMENTATIVE –BREWERY MANUFACTURING .....	30
<b>J. Lomsadze, A. Mebonia, Z. Lomsadze, S. Mebonia.</b> THEORETICAL DETERMINATION OF SPECIFIC PRESSURE AND FORCE OF DRAWING IN ROLLER MATRIXES .....	33
<b>R. Gvetadze.</b> THE OLD GEORGIAN ART CASTING .....	36
<b>R. Gvetadze.</b> REGULATION OF TECHNOLOGICAL PROPERTIES OF DEFORMABLE STRUCTURAL CAST IRON .....	44

## TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING

<b>N. Navadze, B. Soselia.</b> PROPER WORKING CONDITIONS OF AUTOMOBILE PARKING .....	48
--	----

## BUSINESS-ENGINEERING

<b>G. Sulashvili, S. Japharidze.</b> TAXES AS AN INTEGRAL PART OF MODERN ECONOMY AND ITS DEVELOPMENT PROSPECTS .....	52
<b>G. Sulashvili, S. Japharidze.</b> THE STRUCTURE OF THE TAXES AND ITS OBJECTIVE NECESSITY .....	54
<b>N. Pailodze, A. Kobiashvili, C. Ramazashvili.</b> EFFECTIVENESS OF SYSTEMS OF ECONOMIC INFORMATION .....	57
<b>N. Pailodze, A. Kobiashvili, K. Ramazashili.</b> MODERN APPROACHES TO CALCULATE THE DEPRECIATION OF FIXED ASSETS .....	61

## INFORMATICS, MANAGING SYSTEMS

<b>I. Kutsia, V. Kekenadze.</b> INVESTIGATION OF THE SEISMIC OSCILLATIONS IN THE LONG-PERIOD RANGE OF SPECTRUM.....	64
--	----

<b>R. Kakubava, G. Pipia, G. Makasarashvili, L. Sikharulidze.</b> NUMERICAL CHARACTERISTICS OF THE STAND-BY SYSTEMS WITH RENEWAL AND PREVENTIVE MAINTENANCE .....	67
<b>R. Kakubava, G. Pipia, G. Makasarashvili, L. Sikharulidze.</b> PROBABILISTIC MODELLING OF STAND-BY SYSTEM WITH RENEWAL AND PREVENTIVE MAINTENANCE .....	71
 <b>BIOTECHNOLOGICAL CENTRE</b>	
<b>T. Shamatava.</b> ANALYSIS OF BIOFUEL GENERATIONS WITH THE VIEW OF APPLICABILITY FOR GEORGIA .....	75
<b>G. Dvali, N. Lomtadze.</b> MICROORGANISMS OF RHIZOSPHERE OF VEGETABLE CULTURE AND THEIR INTERANTAGONIST ATTITUDE .....	79
 <b>AUTHORS INDEX</b> .....	83
<b>TO THE AUTORS ATTENTION</b> .....	86

# СОДЕРЖАНИЕ

## ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

Т.Р. Джикиа. СОЗДАНИЕ РАСТИТЕЛЬНОГО ПОКРОВА В ЗОНАХ АРИДНОГО КЛИМАТА ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ЕСТЕСТВЕННЫХ МАТЕРИАЛОВ .....	9
Т.Р. Джикиа. ВОССТАНОВЛЕНИЕ ЭКОЛОГИЧЕСКОГО РАВНОВЕСИЯ ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ЕСТЕСТВЕННЫХ МАТЕРИАЛОВ.....	12

## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ, МЕТАЛЛУРГИЯ

К.М. Губеладзе. ВЛИЯНИЕ ПЛАСТИФИКАТОРОВ НА СТРУКТУРУ ВУЛКАНИЗАТОВ БУТАДИОН-НИТРИЛЬНЫХ ЭЛАСТОМЕРОВ (СКН-40) .....	16
К.М. Губеладзе. ВЛИЯНИЕ ДЕФОРМАЦИИ И ПЛАСТИФИКАЦИИ РЕЗИН НА ПОДВИЖНОСТЬ ВУЛКАНИЗАЦИОННОЙ СЕТКИ.....	20
М.Л., Дзеконская, С.Г. Копалеишвили, Л.С. Топурия, Н.Г. Кантеладзе. ХИМИЧЕСКИЙ СОСТАВ ВОДЫ ПИВОВАРЕННЫХ ЗАВОДОВ.....	25
М.Л. Дзеконская, С.Г. Копалеишвили, Л.С. Топурия, Н.Г. Кантеладзе. САНИТАРНО-ГИГИЕНИЧЕСКИЙ КОНТРОЛЬ И ДЕЗИНФИЦИРУЮЩИЕ СРЕДСТВА, ПРИМЕНЯЕМЫЕ В БРОДИЛЬНЫХ – ПИВНЫХ ПРОИЗВОДСТВАХ .....	30
Дж.М. Ломсадзе, А.С. Мебония, З. Д. Ломсадзе, С.А. Мебония. ТЕОРЕТИЧЕСКОЕ ОПРЕДЕЛЕНИЕ УДЕЛЬНОГО ДАВЛЕНИЯ И УСИЛИЯ ВОЛОЧЕНИЯ В РОЛИКОВЫХ МАТРИЦАХ .....	33
Р.Г. Гветадзе. ДРЕВНЕГРУЗИНСКОЕ ХУДОЖЕСТВЕННОЕ ЛИТЬЕ .....	36
Р.Г. Гветадзе. РЕГУЛИРОВАНИЕ ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ СВОЙСТВ ДЕФОРМИРУЕМЫХ КОНСТРУКЦИОННЫХ ЧУГУНОВ.....	44

## ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ

Н.В. Навадзе, Б.Л. Соселия. МЕРОПРИЯТИЯ ДЛЯ ОБЕСПЕЧЕНИЯ ТЕХНИЧЕСКОЙ ИСПРАВНОСТИ И ТРУДОСПОСОБНОСТИ АВТОМОБИЛЬНОГО ПАРКА .....	48
---	----

## БИЗНЕС-ИНЖИНИЕРИНГ

Г.В. Сулашвили, С.М. Джапаридзе. НАЛОГИ КАК НЕОТЬЕМЛЕМАЯ ЧАСТЬ СОВРЕМЕННОЙ ЭКОНОМИКИ И ПЕРСПЕКТИВЫ ИХ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ .....	52
Г.В. Сулашвили, С.М. Джапаридзе. СТРУКТУРА НАЛОГОВ И ИХ ОБЪЕКТИВНАЯ НЕОБХОДИМОСТЬ .....	54
Н.Р. Паилодзе, А.А. Кобиашвили, К.Т. Рамазашвили. ЭФФЕКТИВНОСТЬ СИСТЕМ ОБРАБОТКИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ИНФОРМАЦИИ.....	57

<b>Н.Р. Паилодзе, А.А. Кобиашвили, К.Т. Рамазашвили.</b> СОВРЕМЕННЫЕ СПОСОБЫ ВЫЧИСЛЕНИЯ АМОРТИЗАЦИИ ОСНОВНЫХ СРЕДСТВ.....	61
<b>ИНФОРМАТИКА, СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ</b>	
<b>И.С. Куция, В.М. Кекенадзе.</b> ИССЛЕДОВАНИЕ СЕЙСМИЧЕСКИХ КОЛЕБАНИЙ В ДЛИНОПЕРИОДНОЙ ЧАСТИ СПЕКТРА .....	64
<b>Р.В. Какубава, Г.М. Пипия, Г.З. Макасарашвили, Л.И. Сихарулидзе.</b> ЧИСЛОВЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ РЕЗЕРВИРОВАННОЙ СИСТЕМЫ С ВОССТАНОВЛЕНИЕМ И ПРОФИЛАКТИКОЙ.....	76
<b>Р.В. Какубава, Г.М. Пипия, Г.З. Макасарашвили, Л.И. Сихарулидзе.</b> ВЕРОЯТНОСТНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ РЕЗЕРВИРОВАННОЙ СИСТЕМЫ С ВОССТАНОВЛЕНИЕМ И ПРОФИЛАКТИКОЙ.....	71
<b>ЦЕНТР БИОТЕХНОЛОГИИ</b>	
<b>Т.Р. Шаматава.</b> АНАЛИЗ ПОКОЛЕНИЙ БИОТОПЛИВ ПРИМЕНЕИТЕЛЬНО К УСЛОВИЯМ ГРУЗИИ.....	75
<b>Г.Ш. Двали, Н.А. Ломтадзе.</b> МИКРОФЛORA РИЗОСФЕРЫ ОВОЩНЫХ КУЛЬТУР И ИХ ВЗАИМОАНТАГОНИСТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ .....	79
<b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ</b> .....	83
<b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ</b> .....	88

# სამთო-გეოლოგიური სექცია

**შაპ 551.49.553.7**

## არიდული კლიმატის ზონებში გუნებრივი მასალების გამოყენებით მცხარეული საფარის შემსრულებელი

**თ. ჯიქა**

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, ქოჩავას 77

E-mail: t.jikia@gtu.ge

**რეზიუმე:** არიდული კლიმატის რაიონებში, სადაც ნიადაგის ფენა უმნიშვნელო და მწირია, ბალახეული საფარი და ზოგადად მცხარეულობა მორწყვის გარეშე არ იზრდება. ამ პირობებში ნიადაგზე მცხარეული საფარის ხელოვნურად შექმნა და სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენება დღევანდელობის ძალზე აქტუალური პრობლემაა. იმის მიხედვით, თუ როგორი მცხარეული საფარის შექმნაა გათვალისწინებული (ერთწლიანი თუ მრავალწლიანი), საჭიროა მოიხსნას ნიადაგის 25–30 სმ ან უფრო მეტი სისქის ფენა. მოხსნილ ზედაპირზე დაესხმება ნაერთის ისეთი მოდიფიკაცია, რომელიც წყალს პრაქტიკულად არ ატარებს. ნაერთით დაფარულ ზედაპირზე ხელახლა უნდა იქნეს შეტანილი ნიადაგის მოხსნილი ფენა და ამ ფენის ზედაპირი დამუშავდეს ნაერთის სხვა მოდიფიკაციით, რომელიც უზრუნველყოფს მორწყელი ნიადაგიდან წყლის აორთქლების მინიმალურ სიდიდემდე დაყვანას. შედეგად ნაერთებს შორის მოქცეულ ვენაში ხდება წყლის აკუმულაცია და სარწყავი წყლის ხარჯი მცირდება. ჩვენ მიერ დამუშავდებული ნაერთის ყველა მოდიფიკაციის რეცეპტურა ბუნებრივი მასალებისაგან (ქანები, მინერალები) შედგება და ეკოლოგიურად აბსოლუტურად უსაფრთხოა.

**საკვანძო სიტყვები:** არიდული კლიმატის ზონები; ნიადაგი; მცხარეული საფარი; ბუნებრივი მასალები; წყლის აკუმულაცია.

### 1. შესავალი

დასახული მიზნის მიღწევა გათვალისწინებულია ბუნებრივი მჟიდი მასალების გამოყენებით, რომელთა საბადოები საქართველოში მრავლდა. აღნიშნული მასალების შედგენილობა ხელსაყიდვის მიზნით მიმდინარე გამომდინარე, იაფი ბუნებრივი მასალა. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ განსახილველი მეთოდი ტექნიკურად გაცილებით იოლი განსახორციელებელია და ეკონომიკურად ბევრად იაფი.

ეს ნიადაგის კოშტოვანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც აერაციის მაღალ ხარისხს და ნიადაგში ტენის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნებას განაპირობებს. თავის მხრივ, ამ პირობების შექმნა მცხარეული საფარის ვაგეტაციის ხელსაყრელ რეჟიმს უზრუნველყოფს. მაშასადამე, ამ ბუნებრივი კომპონენტების შერევით მიღებული მასალა მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მყარი გარანტია.

### 2. ძირითადი ნაწილი

სარწყავად გამოყენებული წყლის აკუმულაცია ჩვენ მიერ დამუშავებულ ნიადაგის ფენაში მნიშვნელოვნად ამცირებს მორწყვის ინტენსიურობას. სამუშაო ხედლეულად გამოყენებულია საქართველოში ადგილად ხელმისაწვდომი და, აქედან გამომდინარე, იაფი ბუნებრივი მასალა. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ განსახილველი მეთოდი ტექნიკურად გაცილებით იოლი განსახორციელებელია და ეკონომიკურად ბევრად იაფი.

სამუშაოს შესრულების ძირითად შედეგად უნდა ჩაითვალოს მანამდე მწირი, უნაყოფო ფართობების, სასოფლო-სამეურნეო მიზნით, გამოყენების შესაძლებლობა შემოთავაზებული მეთოდის დანერგვის გზით. პრობლემის გლობალურობიდან გამომდინარე, გაუდაბორებული ტერიტორიების რემედიაცია-რეგულაციის შემოთავაზებულ მეთოდს ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლია არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომელთა ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არიდულ ზონების ფართობებს უჭირავს. არიდული ზონებისათვის, სადაც მეტწილად ბალახეული საფარი და საერთოდ მცხარეული მორწყვის გარეშე არ იზრდება, შეგვიძლია შემოგთავაზოთ შემდეგი სახის ღონისძიებები:

მოიხსნას ნიადაგის 25–30 სმ ან უფრო მეტი სისქის ფენა იმის მიხედვით, თუ როგორი მცხ-

ნარეული საფარის შექმნა გვინდა – ერთწლიანის თუ მრავალწლიანის. მოიხსნას ჩვენ მიერ შემუშავებული ნაერთის ისეთი მოდიფიკაცია, რომელიც პრაქტიკულად წყალს არ ატარებს. შემდეგ შეტანილ იქნეს მოხსნილი ნიადაგი და ზედაპირზე მოქსნას ნაერთის სათანადო მოდიფიკაცია, რომელსაც მორწყვის შემდეგ მინიმუმამდე დაჰყავს ნიადაგიდან წყლის აორთქლება. ნაერთებს შერის მოთავსებულ ნიადაგის ფენაში მოხდება წყლის აკუმულირება და სარწყავი წყლის ხარჯი შემცირდება.

საცდელი სამუშაოების დროს ბუნებრივი მასალების ნაზავს გუმატებდით 1% პოლიმერ ტეტრაეტოქსისილანს, რომელიც ძირითადად სილიციუმისაგან მიიღება და ეკოლოგიურად უსაფრთხოა.

შერჩეულ იქნა სამი ნაკვეთი – I, II და III. I ნაკვეთი დამუშავებულია ჩვენი მეთოდის მიხედვით. მოგხსენით 25-დან 30 სმ-მდე ნიადაგის ფენა. მოხსნილ ზედაპირზე მოვათავსეთ 3 – 4 სმ სისქის ნაზავი. შემდეგ მოგხსნილი ნიადაგის მასა დავაბრუნეთ პირვანდელ ადგილზე და მოვასწორეთ. აღნიშნული ნაკვეთის კიდეებში ჩვენი ნაზავის ფენა 35<sup>0</sup>-დან 45<sup>0</sup>-მდეა დახრილი და კიდეებზე ბორტების სახით ფსკერიდან ამოდის ზედაპირზე, რითაც გამოირიცხება გვერდებიდან სარწყავი წყლის გაუზვა. მორწყვა უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება ნელა, რათა ნიადაგმა კარგად შეითვისოს წყალი და არ მოხდეს ნაკვეთის დატბორვა ანუ ზედაპირზე წყალი არ უნდა ჩანდეს.

ჩვენი მეთოდის პროცედურის ბოლო ეტაპია ზედაპირზე სპეციალურად მიღებული ნაზავის მოსხმა, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს სარწყავი წყლის აორთქლება. სამუშაოს ბოლო ეტაპი არ

ჩატარებულა, რადგან ნიადაგი ნოტიოა, პაერის ტემპერატურა დაბალი და პაერის ფარდობითი ტენიანობა მაღალი. ყოველივე ამის გამო, აორთქლება უმნიშვნელოა. დავთესეთ გერმანული კონდიტორის თესლი სამივე ნაკვეთზე თანაბრად და ერთნაირ პირობებში. ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდის უპირატესობა კლინიდება მაშინ, როდესაც დათესვა ტარდება 1-დან 15 აპრილამდე. ამ პერიოდში უმეტესწილად ნიადაგი ნოტიოა, ეს კი თესვისთვის საუკეთესო დროა და თესლი მაღალი იწყებს გაღვივებას. კრიტიკული პერიოდი დგება, როცა იწყება ზაფხულის სიცხეები და გვალვა. აღნიშნული მეთოდით დამუშავებულ ნაკვეთზე მცენარეული საფარი განაგრძობს ზრდას და თავის ბუნებრივ მდგრმარებას მორწყვის გარეშე აღწევს. თუ სხვა ნაკვეთებს არ მოვრწყავთ, მცენარეული საფარი გახმობას იწყებს. ჩვენ შემთხვევაში, დათესვა გადავწყვიტეთ ოქტომბრის ბოლოს, რადგან ცნობილია, რომ შემოდგომაზე თესვა შეიძლება 15 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე. ოქტომბრის მეორე დეკადაში საკმაო ნალექი მოვიდა და ჩვენ გამოდარებისთანავე დავთესეთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მეთოდს ამ შემთხვევაში არ უნდა მოეცა დადებითი შედეგი, რადგან ნიადაგი ტენიანი იყო, პაერის და ნიადაგის ტემპერატურა დაბალი – დამით მინუს 2–3<sup>0</sup>; დღისით + 4–5<sup>0</sup>. მიუხედავად ამისა, დათესვიდან ერთი თვის შემდეგ ბალახი ამოიწვერა პირველ ნაკვეთზე, რომელიც ჩვენი მეთოდით იყო დამუშავებული, რამაც აშკარა გახადა მეთოდის ეფექტურობა.

მეორე და მესამე ნაკვეთებზე, რომლებიც ატმოსფერული ნალექებით საკმაოდ იყო გაჯერული, ბალახი უმნიშვნელოდ ამოვიდა.



I ნაკვეთი



II და III ნაკვეთი

### 3. დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული ნაზავით დაფარულ I ნაკვეთზე, მიუხედავად მეთოდის ეფექტურობის სრულყოფილად გამოვ-

ლენის არცთუ ხელსაყრელი პირობებისა, შედეგი უაღრესად პოზიტიური მივიღეთ, რაზეც ფორმასალაც მეტყველებს. მეორე მხრივ, II და III ნაკვეთებზე, რომლებზეც მეთოდი არ გამოგვიყენებია, შედეგი პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

**ლიტერატურა**

1. თ. ჯიქია, უ. ზეიადაძე, გ. ლაპიაშვილი. ეროვნული ფერდობების დამაგრება-რეკულტივისაცია ბუნებრივი მასალების გამოყენებით // მეცნიერება და ტექნიკა, №1-3. თბილისი, 2000 წ., გვ.115-117.
2. Отчет об испытании американских препаратов для стабилизации почв. Груз. НИИГиМ. Тбилиси, 1978.
3. Natural zeolites: clinoptilolit. Р/А Gruzgornohiprom, Tbilisi, 1984. pp.17-19.

**UDC 551.49:553.7****CREATION OF VEGETABLE COVER USING NATURAL MATERIALS IN ARID ZONES****T. Jikia**

Department of applied geology, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** For the arid zones, where the grassy cover and plants do not grow without watering, there are proposed the following measures: to remove the soil/ground surface at a depth of 25-30 sm, or a bit more, according to whether we would like to create grassy cover only, or whether also annual or perennial plants; to pour the collaborated/proposed admixture modification, which for all practical purposes is water proof and the water cannot pass through; to bring back in the removed soil/ground and to pour the evaporation of the water from the soil/ground. In the layer of soil/ground located among admixture modification, the water is being accumulated and the expenditure of water is being decreased by several times. All varieties of proposed admixture modification are consisted of natural materials (rocks, minerals) and are environmentally friendly. In addition, this proposed method could be successfully used in gardens, parks and squares of cities.

**Key words:** arid zones; soil; vegetable cover; natural materials; accumulation of water.

**УДК 551.49:553.7****СОЗДАНИЕ РАСТИТЕЛЬНОГО ПОКРОВА В ЗОНАХ АРИДНОГО КЛИМАТА ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ЕСТЕСТВЕННЫХ МАТЕРИАЛОВ****Джикия Т.Р.**

Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В районах аридного климата, где слой почвы незначителен и сама почва неплодовитая, травяной покров и вся растительность без орошения не растут. В этих условиях создание растительного покрова и рациональное использование оросительной воды является очень актуальной проблемой современности. В зависимости от того, создание какого растительного покрова предусматривается (однолетнего или многолетнего), нужно снять 25-30 - сантиметровый, или больший, слой почвы. Новосозданную поверхность следует покрыть такой модификацией нашего состава, которая практически является водоупорной. Снятую почву следует вернуть на прежнее место и поверхность обработать такой модификацией состава, которая доведет до минимума испарение почвы. В результате, в почве, заключенной между нашими составами, происходит аккумулирование воды, и расход оросительной системы уменьшается в несколько раз. Рецептура всех модификаций созданного нами состава состоит из естественных материалов (горные породы, минералы) и экологически является абсолютно безопасной.

**Ключевые слова:** зоны аридного климата; почва; растительный покров; естественные материалы; аккумулирование воды.

**მიღებულია დასაბუქდა 24.06.13**

**შაპ 551.49.553.7**

## ეპოლობის მონაცემთა აღდგენა ბუნებრივი მასალების გამოყენებით

**თ. ჯიქია**

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: t.jikia@gtu.ge

**რეზიუმე:** განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ეროზიული, დეფორმირებული ფერდობების სტაბილიზაცია-რეკულტივაცია, არიდული კლიმატის ზონებში, სარწყავი წყლის აკუმულაციის ორიგინალური მეთოდის გამოყენებით, ბალახეული საფარის შექმნა, რაც მოსავლიანობის გაზრდისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებაა, ბუნებრივი მასალების გამოყენებით ფიტორემედიაციის პორობების გაუმჯობესება და პროცესის დროის შემცირება.

**საკვნძო სიტყვები:** ეროზია; ზედაპირული ნაკადი; სტაბილიზაცია-რეკულტივაცია; არიდული ზონა; წყლის აკუმულაცია; ბალახეული საფარის შექმნა; ბუნებრივი სორბენტები; ფიტორემედიაცია.

### 1. შესავალი

ეროზიის პროცესის შეჩერება, ეროზიული ფერდობების სტაბილიზაცია-რეკულტივაცია, ნიადაგის ფენის და მცენარეული საფარის ხელოვნურად შექმნის გზით, მეტად აქტუალური პრობლემაა. ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით წყლის ბაზაზე ისეთი ნაზავი შეიქმნება, რომელშიც გამოყენებული იქნება საქართველოში მრავლად არსებული ბუნებრივი მასალები – ბენტონიტები და კლინოპტილოლიტები. ნაზავში შერჩეულია ბალახის ადგილობრივი სახეობის თესლი. მიღებული ნაერთი “Vita” წარმატებით გამოიყენება ეროზიული ფერდობების დამაგრება-რეკულტივაციისთვის, ფერდობზე ნიადაგის ფენისა და მცენარეული საფარის შექმნის გზით.

არიდული კლიმატის რაიონებში, იმის მიხედვით, თუ როგორი მცენარეული საფარის შექმნა გათვალისწინებული (ერთწლიანი თუ მრავალწლიანი), საჭიროა მოიხსნას ნიადაგის 25–30 სმ აუზრო მეტი სისქის ფენა. მოხსნილ ზედა-

პირზე დაესხმება ნაერთის ისეთი მოდიფიკაცია, რომელიც წყალს პრაქტიკულად არ ატარებს. ნაერთით დაფარულ ზედაპირზე ხელახლა უნდა იქნეს შეტანილი ნიადაგის მოხსნილი ფენა და ამ ფენის ზედაპირი დამუშავდეს ნაერთის სხვა მოდიფიკაციით, რომელიც უზრუნველყოფს მორწყული ნიადაგიდან წყლის აორთქლების მინიმალურ სიდიდემდე დაყვანას. ამის შედეგად, ნაერთებს შორის მოქცეული ნიადაგის ფენაში ხდება წყლის აკუმულაცია და სარწყავი წყლის ხარჯი რამდენჯერმე მცირდება.

როგორც ცნობილია, დღეს სასიცოცხლო ეკოსისტემების (ატმოსფერო, ნიადაგი, ბუნებრივი წყლები) გაჭუჭყიანებამ გლობალურ, ძალზე სახიფათო დონეს მიაღწია. ჩვენ მიერ, ჯერჯერობით, მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტები კვლევების ძირითადი არსი შემდეგ ში მდგომარეობს: გაჭუჭყიანებული ტერიტორიების (ნიადაგების) რემედიაციისთვის წარმატებით იქნა გამოყენებული ე.წ. “ბუნებრივი სორბენტები”, რომელთა საბადოები მრავლადაა საქართველოში. წინასწარ დამუშავებულ “ბუნებრივ სორბენტებს” ჩახნავენ (შეურევენ) გაჭუჭყიანებულ ნიადაგში, შედეგად წარმოიქმნება მყარი ნარევი. შემდეგ კი იწყება და ვითარდება იონური გაცვლის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური პროცესები.

### 2. ძირითადი ნაწილი

შიშველი, ეროზიული ფერდობების დამაგრება-რეკულტივაცია, მათზე ნიაგადის ფენის და მცენარეული საფარის ხელოვნურად შექმნის გზით, დღევანდელობის ძალზე აქტუალური პრობლემაა. გთავაზობთ ამ პრობლემის გადაჭრის პრინციპულად ახალ, ორიგინალურ მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში მოპოვებული ბუნებრივი მჟიდი მასალების გამოყენებაზე.

ნიადაგის, როგორც რთული ბუნებრივი წარმონაქმნის, ყველა შემადგენელი კომპონენტის მოლიანად აღდგენა შემოთავაზებული მეთოდის

გამოყენების საწყის სტადიაზე შეუძლებელია, მაგრამ წარმატებით იქნება გადაჭრილი უმთავრესი ამოცანა: ფერდობის დამაგრება და მასზე სტაბილური ბალანსის საფარის შექმნა, რასაც დროთა განმავლობაში ნიადაგისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისების ჩამოყალიბება უნდა მოჰყვეს.

შემოთავაზებული მეთოდით ფერდობის დამუშავების საწყისი სტადიის დასრულებისთვის საჭირო დრო 2 კვირიდან 2–3 თვემდე, რაც შეუდარებლად მცირე ხანგრძლივობაა დღეისთვის არსებულ სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით, რომელთა მიხედვით ფერდობის კონსერვაციისა და ბალანსის საფარის წარმოქმნისთვის საჭირო დრო 2,5–3 წელიწადით განისაზღვრება.

მეორე უნიშვნელოვანები მოქნებია ის გარემოება, რომ დღემდე გამოყენებული ტექნოლოგიები გარემოზე მკვეთრი ნებატიური ზემოქმედების თავიდან აცილებას ვერ უზრუნველყოფს, ზოგიერთ მათგანში ადვილად აალებადი ნივთიერებებიც კი გამოყენება, რაც მცენარეულობის ადმოცენებას მნიშვნელოვნად აფერხებს და პროცესს ცეცხლსაშიშს ხდის. ამის საპირისპიროდ შემოთავაზებული მეთოდი, ბევრ სხვა უპირატესობასთან ერთად, როგორიცაა სიიაფე, ოპერატიულობა, შესრულების სიმარტივე და სხვა, იმითაც არის მომგებიანი, რომ ეკოლოგიურად აბსოლუტურად უსაფრთხოა.

ბუნებრივი მჭიდრო მასალების ისეთი სახეობები, როგორიცაა ბენტონიტური თიხები, რომელთა საბადოები მრავლადაა საქართველოში, შეჭიდულობის მაღალი უნარით გამოირჩევა, რაც ფერდობის დამაგრების აუცილებელი წინაპირობაა, ხოლო ცეოლითები ხელს უწყობს ნიადაგის კომპრენსი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს აერაციის მაღალ ხარისხს და მასში ტენის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნებას, ეს კი მცენარეული საფარის ვეგეტაციის ხელსაყრელ რეჟიმს უზრუნველყოფს. შესაბამისად, ამ ორი ბუნებრივი კომპონენტის შერევით მიღებული მასალა მაქსიმალური ეფექტის მიღწვის მყარი გარანტია.

აღნიშნული შედარებებიდან ნათლად ჩანს ჩვენ მიერ დამუშავებული და შემოთავაზებული მეთოდიკის უპირატესობა სადღეისოდ აპრობირებულ ბევრად უფრო ძვირად დირებულ, ტექნიკურად რთულ და ეკოლოგიური საფრთხის შემვეღლ სხვა მეთოდებთან შედარებით.

მეთოდის საწარმოო, ფართო მასშტაბით დანერგვის შემთხვევაში, რაც სათანადო ინვესტიციას საჭიროებს, მანამდე უმოქმედო ეროზიული ფერდობები ნაყოფიერ საძოვრებად გადაიქცევა და მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს რომორც ინვესტორს, ასევე სოფლის მეურნეობას.

ყველა არსებულ ნაერთს ეროზიული და დფურმირებული ფერდობების სტაბილიზაციისთვის სჭირდება საშუალოდ 2,5–3 წელიწადი და მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ იწყება ბალახებული საფარის წარმოქმნა. ჩვენი მეთოდით დამზადებული ნაერთი კი, იმის მიხედვით, თუ როგორი კლიმატური პირობებია, ბალახებულ საფარს წარმოქმნის 2–3 კვირიდან 2–3 თვეში.

დასახული მიზნის მიღწევა გათვალისწინებულია საქართველოში მრავლად არსებული ბუნებრივი მჭიდრო მასალების გამოყენებით. აღნიშნული მასალების შედგენილობა ხელს უწყობს ნიადაგის კომპრენსი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც აერაციის მაღალ ხარისხს და ნიადაგში ტენის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნებას განაპირობებს. თავის მხრივ, ამ პირობების შექმნა მცენარეული საფარის ვეგეტაციისთვის ხელსაყრელ რეჟიმს უზრუნველყოფს. მაშასადამე, ამ ბუნებრივი კომპონენტების შერევით მიღებული მასალა მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მყარი გარანტია.

პრიციპი იმაში მდგომარეობს, რომ სარწყავად გამოყენებული წყლის აკუმულაცია დამუშავებული ნიადაგის ფენაში მნიშვნელოვნად ამცირებს მორწყვის ინტენსიურობას. სამუშაო ნედლეულად გამოყენებულია საქართველოს სინამდვილეში ადვილად ხელმისაწვდომი და, აქვდან გამომდინარე, იაფი ბუნებრივი მასალა. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ განსახილველი მეთოდი ტექნიკურად გაცილებით უფრო იოლი განსახორციელებელია და ეკონომიკურად ბევრად უფრო მომგებიანი.

სამუშაოს შესრულების ძირითად შედეგად უნდა ჩაითვალოს, შემოთავაზებული მეთოდის დანერგვის გზით, მანამდე მწირი, უნაყოფო ფართობების სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. პრობლემის გლობალურობიდან გამომდინარე, გაუდაბნოებული ტერიტორიების რემედიაცია-რეკულტივაციის შემოთავაზებულ მეთოდს ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოგანა შეუძლია არა მარტო საქართველოს მასშ-

ტაბით, არამედ იმ ქვეყნებისათვისაც, რომელთა ტერიტორიის უქმებესი ნაწილი არიდულ ზონების ფართობებს უჭირავს. არიდული ზონებისთვის, სადაც მეტილად ბალახეული საფარი და საერთოდ მცენარეები მორწყვის გარეშე არ იზრდება, შეგვიძლია შემოგთავაზოთ შემდეგი სახის ღონისძიებები:

საჭიროა მოეხსნას ნიადაგის 25–30 სმ ან უფრო მეტი სისქის ფენა იმის მიხედვით, თუ როგორი მცენარეული საფარის შექმნა გაინდა, ერთწლიანის თუ მრავალწლიანის, შემდეგ მოეხსნას ჩვენ მიერ შემუშავებული ნაერთის ისეთი მოდიფიკაცია, რომელიც პრაქტიკულად წყალს არ ატარებს. შემდეგ შეტანილ იქნეს მოხსნილი ნიადაგი და ზედაპირზე მოეხსნას ნაერთის სათანადო მოდიფიკაცია, რომელსაც მორწყვის შემდეგ მინიმუმადე დაპყავს ნიადაგიდან წყლის ორთქლება. ნაერთებს შორის მოთავსებულ ნიადაგის ფენაში მოხდება წყლის აკუმულაცია და სარწყავი წყლის ხარჯი რამდენჯერმე შემცირდება.

ბუნებრივი მასალების ნაზაგს საცდელი სამუშაოების დროს ვუმატებდით 1% პოლიმერ-ტეტრაეტოქსილანს, რომელიც ძირითადად სილიციუმისაგან მიიღება და ეკოლოგიურად უსაფრთხოა.

როგორც ცნობილია, დღეს სასიცოცხლო ეკოსისტემების (ატმოსფერო, ნიადაგი, ბუნებრივი წყლები) გაჭუჭყიანებამ გლობალურ, ძალზე სახიფათო დონეს მიაღწია. როგორც ლიტერატურული მასალებიდანაა ცნობილი, ადამიანის სამეურნეო საქმიანობისას ადგილი აქვს ტოქსიკური ნივთიერებების განუწყვეტელ მიგრაციას. ნაყოფიერი ნიადაგების (ტერიტორიული) ფართობი განუწყვეტლივ მცირდება, მის პარალელურად კი იზრდება გაჭუჭყიანებული ტერიტორიები.

ჩვენ მიერ, ჯერჯერობით, მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს: გაჭუჭყიანებული ტერიტორიების (ნიადაგების) რემედიაციისათვის წარმატებით გამოიყენება კ.წ. “ბუნებრივი სორბენტები”, რომელთა საბადოები მრავლადაა საქართველოში. წინასწარ დამუშავებულ “ბუნებრივ სორბენტს” ჩახნავენ (შეურევენ) გაჭუჭყიანებულ ნიადაგში, წარმოიქმნება მყარი ნარევი. ყოველივე ამის შედეგად, იწყება და ვითარდება იონური გაცვლის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური პროცესები.

შემდეგი ოპერაციაა დამუშავებულ ფართობზე სხვადასხვა ჯიშის ბალახის (ძირითადად ადგილობრივი ჯიშების) დათვევა. შერჩეული აბსორბენტი გაჭუჭყიანებული გრუნტიდან დიდი რაოდენობით შთანთქავს ტოქსიკურად მმიმელითონებს, რომელთაც დოზირებულად გადასცემს მასზე აღმოცენებულ ბალახეული საფარს. ეს პროცესი რეგულირებადია. ბალახეული საფარი აბსორბენტ-გრუნტის ნარევის რეგულირების შედეგად ტოქსიკანტებს ადვილად ითვისებს იმ რაოდენობით, რომელიც ნორმალურ ვეგეტაციას ხელს არ უშლის. ასეთი ბალახი სრულიად უსაფრთხოა პირუტყვის გამოსაკვებად, რადგან, მიუხედავად ინტენსიური აბსორბციისა, ხელოვნური საფარი მასზე აღმოცენებულ ბალახოვან მცენარეულობას მცირედოზებით გადასცემს შთანთქმულ ნივთიერებებს, ამიტომ ამ ბალახით გამოკვებილი საქონლის რეჟ აღნიშნულ ნივთიერებებს შეიცავს ისეთი რაოდენობით, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის არათუ საზიანო, არამედ საჭირო და აუცილებელია. ამას ადასტურებს ბრიტანელი მეცნიერ-გერონტოლოგ ჟუსტინ გლასის მონაცემებიც. იგი მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა სხვადასხვა ერის დიეტას და დაასკვნა, რომ ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელი მინერალური კომპონენტები, მათ შორის მძიმელითონებიც, ერთნაირად საზიანოა ჯანმრთელობისთვის როგორც ზემადალი, ასევე ნორმაზე დაბალი შემცველობის დროს.

### 3. დასკვნა

ზემოგანხილული დღევანდელობის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ერთიული, დეფორმირებული ფერდობების სტაბილიზაცია-რეგულაციაცია, არიდული კლიმატის ზონებში, სარწყავი წყლის აკუმულაციის ორიგინალური მეთოდის გამოყენებით, ბალახეული საფარის შექმნა, რაც გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებად გვევლინება, ბუნებრივი მასალების გამოყენებით ფიტორეგილის პირობების გაუმჯობესება და პროცესის დროის შემცირება ეპოლოგიური წონასწორობის ადგენის მეტად საიმედო და ხელმისაწვდომი მეთოდებია. ყოველივე აღნიშნულის გაანალიზება ლოგიკურად განაპირობებს ანალოგიური კვლევების ჩატარების აუცილებლობას სხვადა-

სხვა კლიმატურ და პიფხომებრიულ ზონებში კვლევების გაფართოებული პროგრამით.

### **ლიტერატურა**

5. Отчет об испытании американских препаратов для стабилизации почв. Груз. НИИГиМ. Тбилиси, 1978.
  6. Natural zeolites: clinoptilolite. P/A Gruzgornohiprom, Tbilisi, 1984. pp.17-19;
  7. Tsao, 2003. Phytoremediation. Springer, Berlin, Heidelberg, New York;
  8. Королев В.А. Очистка грунтов от загрязнений. М.: МАИК “Наука/Интерлэндика”, 2001.- 365 с.
4. თ. ჯიქია, უ. ზვიადაძე, მ. ლაპიაშვილი. ეროვნული ფერდობების დამაგრება-რეკულტივაცია ბუნებრივი მასალების გამოყენებით // მეცნიერება და ტექნიკა, №1-3. თბილისი, 2000 წ., გვ.115-117.

**UDC 551.49:553.7**

## **RESTORATION OF ECOLOGICAL EQUILIBRIUM USING NATURAL MATERIALS**

**T. Jikia**

Department of applied geology, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are considered very significant questions of the present, such as: stabilization – recultivation of eroded, deformed slopes, creation grassy cover using the natural materials by means of application of original method of accumulation of irrigation water, which is the measure for increase of crop-producing power and barrier against transformation of fertile lands into the desert, improvement of phytoremediation conditions and contraction of process duration.

**Key words:** erosion; superficial stream; stabilization-recultivation; arid zone; accumulation of water; creation of grassy cover; natural sorbents; phytoremediation.

**УДК 551.49:553.7**

## **ВОССТАНОВЛЕНИЕ ЭКОЛОГИЧЕСКОГО РАВНОВЕСИЯ ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ЕСТЕСТВЕННЫХ МАТЕРИАЛОВ**

**Джикия Т.Р.**

Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены значительные вопросы современности, каковыми являются: стабилизация-рекультивация эродированных, деформированных склонов, создание с использованием природных материалов травяного покрова путем применения оригинального метода аккумуляции оросительной воды, что является мероприятием для увеличения урожайности и препятствием против превращения плодородных земель в пустыню, улучшение условий фиторемедиации и укорочение продолжительности процесса.

**Ключевые слова:** эрозия; поверхностный поток; стабилизация-рекультивация; аридные зоны; аккумулирование воды; травяной покров; естественные сорбенты; фиторемедиация.

**თიღებულია დასაბუქდა 24.06.13**

# ქიმიური ტექნოლოგიისა და გეტალურბიის სექცია

შაპ 678.049: 678.023

კლასტიფიკატორების ბაზლენა გულადიენ-ნიტრილური ელასტომერების (ნსპ-40)  
ვულკანიზაციების სტრუქტურაზე

## ქ. გუბელაძე

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, ობილისი, კოსტავას 69

E-mail: gubeladze\_qeti@rambler.ru

**რეზიუმე:** შერჩეულია ბურადიენ-ნიტრილური  
ელასტომერის ბაზაზე დამზადებული რეზინები-  
სათვის პლასტიფიკატორების ოპტიმალური რაო-  
დენობა, 5% დაფ, დბს ან ლზ-7 დიფერენციალუ-  
რი ვულკამეტრისა და წონასწორული გაჯირ-  
ჯვების მეთოდების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** პლასტიფიკატორი; ბურა-  
დიენისა და აკრილონიტრილის თანაბოლიმერი;  
ვულკანიზაციები; რეომეტრი; წონასწორული გა-  
ჯირჯვება.

## 1. შესავალი

რეზინი მრავალკომპონენტიანი კომპოზიცი-  
ური პროდუქტია, რომელიც ელასტომერის (ანუ  
კაუჭუკის) ბაზაზე დამზადებული სხვადასხვა  
ინგრედიენტის ნარევის მაღალტემპერატურული  
გადამუშავებით ანუ ვულკანიზაციით მიიღება.  
ელასტომერის გარდა, რეზინის ნარევის შედგე-  
ნილობაში შედის ვულკანიზაციის აგენტები, აქ-  
ტივატორები, დამაჩქრებლები, შემაგსტლები,  
დაბერების საწინააღმდეგო აგენტები, პლასტი-  
ფიკატორები და სხვა.

რეზინის ნარევში დიდი რაოდენობის პლას-  
ტიფიკატორის შევანა ვულკანიზაციისას გავ-  
ლენას ახდენს ელასტომერის სივრცითი ბაზის  
ფორმირებაზე, კერძოდ, ბაზის სიხშირე მცირ-  
დება. ნაშრომში [1] ნაჩვენებია, რომ ეს მოვლენა  
დაკავშირებულია ორი კონკურენტული პროცე-  
სის მიმდინარეობასთან: ვულკანიზაციის აგენ-  
ტები ურთიერთქმედებს როგორც კაუჭუკთან,  
ასევე პლასტიფიკატორთან.

კვლევის მიზანი პლასტიფიკატორის ისეთი  
რაოდენობის შერჩევაა, რომლის შევანა რე-  
ზინის ნარევში არ შეცვლის ვულკანიზაციური  
ბაზის სიხშირეს და გააუმჯობესებს მის ფი-  
ზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებს, ამასთან  
მოახდენს რეზინის ნარევის ოპტიმალურ პლას-  
ტიფიცირებას.


## 2. ძირითადი ნაწილი

შესწავლილი იყო შეუესტებელი და ტექნიკური  
ნახშირბადით (მარკა პ-324, 50 მას. ნაწ.). შევ-  
სებული ბურადიენისა და აკრილონიტრილის თა-  
ნაბოლიმერის (შემდგომში ბურადიენ-ნიტრილური  
ელასტომერი, მარკა ნსპ-40) ბაზაზე დამზადე-  
ბული რეზინის ნარევის ვულკანიზაციის პრო-  
ცესი. პლასტიფიკატორებად გამოყენებული იყო  
სხვადასხვა რაოდენობის დიბუტილფტალატი  
(დაფ), დიბუტილსებაცინატი (დბს) და სინ-  
თოზური ცენტროვანი მეჟების (ფრაქცია C<sub>5</sub> – C<sub>9</sub>) და  
დიეთოლენგლიკოლის ესტერი (ლზ-7).


ელასტომერების ვულკანიზაციის კინეტიკის  
გამოკვლევა ჩატარდა “მონსანტოს” ფირმის ISO-  
MC-3417 რეომეტრზე “რეზინა, ვულკანიზაციური  
მახასიათებლების გაზომვა რხევითდისკებიან  
რეომეტრზე”. რეომეტრით იზომება ვულკანი-  
ზაციის პროცესში რეზინის ნარევის წინადობა  
ვიბრაციის მიმართ, რომელიც ღინამიკური მო-  
დულის პროპორციულია [2]. ამასთან, გადაღუ-  
ბული რეოგრამებით (ტიპური მრუდი ნაჩვენებია  
ნახ. 1) აითვლება შემდეგი პირობითი მაჩვენებ-  
ლები: საწყისი სიბლანტე (M<sub>1,4</sub>), მინიმალური  
სიბლანტე (დეფორმაციის მიმართ წინადობის  
მინიმალური მნიშვნელობა, M<sub>0,6</sub>), ვულკანი-  
ზაციის მაქსიმალური ხარისხის შესაბამისი

მომენტი ( $M_{\text{მაქ}}$ ). გამოითვლება სტრუქტურირების ხარისხი ( $\Delta M = M_{\text{მაქ}} - M_{\text{მინ}}$ ), რომელიც ახასიათებს ვულკანიზაციის ბადის სიხშირეს, ვულკანიზაციის ოპტიმალური ხარისხის შესაბამისი მომენტი  $M_{\text{ოპ}} = M_{\text{მინ}} + 0,9(M_{\text{მაქ}} - M_{\text{მინ}})$ .

რეზინის ნარევის  $143^{\circ}\text{C}$ -ზე ვულკანიზაციის პირობებში გადაღებული რეოგრამების დამუშავებით გამოანგარიშებულია ვულკანიზაციური ბადის სიხშირე და ვულკანიზაციის სიჩქარე. 1-ელ ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ დიდი რაოდენობით (5%-ზე მეტი) პლასტიფიკატორის შეყვანისას რეზინის ნარევში  $\Delta M$  მცირდება, რაც მიუთითებს ვულკანიზაციური ბადის სიხშირის შემცირებაზე.



ნახ. 1. რეზინის ნარევის ვულკანიზაციის რეოგრამა (ტიპური მრუდი)



ნახ. 2. ბუტადიენ-ნიტრილური (ნსკ-40) ელასტომერის ნარევის (შეუვესტელი) ვულკანიზაციის კინეტიკა (დიფერენციალური ფორმა) 1. – პლასტიფიკატორის გარეშე; 2. – 5 % დბფ; 3. – 5 % ლზ-7

ვულკანიზაციის ანუ სტრუქტურირების სიჩქარე გამოანგარიშებულია რეოგრამების მრუდების სხვადასხვა წერტილზე გავლებული მხების დახრის კუთხე ტანგენსის გამოთვლით (დიფერენციალური ვულკამეტრია) [2]. მიღებული მონაცემებით აგებული ვულკანიზაციის კინეტიკური მრუდების (ნახაზები: 2,3) ანალიზი გვიჩვენებს, რომ 5% დბფ, დბს ან ლზ-7-ით რეზინის ნარევის პლასტიფიცირება თითქმის არ მოქმედებს ელასტომერის სტრუქტურირების სიღრმესა და სიჩქარეზე, მაგრამ 10% და მეტი რაოდენობით დბფ შეყვანა ორჯერ ამცირებს სტრუქტურირების სიჩქარეს და ვულკანიზაციის ხარისხს. ანალოგიურად მოქმედებს 5%-ზე მეტი რაოდენობით დბს-ისა და ლზ-7-ის გამოყენებაც. რეზინის ნარევის ტექნიკური ნახშირბადით შევხდისას ორჯერ იზრდება სტრუქტურირების სიჩქარე და ვულკანიზაციის სიღრმე.


ვულკანიზაციური ბადის სიხშირე შეიძლება შეფასდეს შესაბამისი რეზინის ნიმუშების გა-

ჯირჯვებით რომელიმე გამხსნელში. ამასთან, სხვადასხვა ვულკანიზაციის მაქსიმალური (წონასწორული) გაჯირჯვების მაჩვენებლების ცვლილება ვულკანიზაციის სხვადასხვა ხარისხზე მიუთითებს [3,4].

ვულკანიზაციური ბადის სიხშირის დამოკიდებულება პლასტიფიკატორის რაოდენობაზე გამოკლებულია რეზინის ნიმუშების ქლოროფორმში წონასწორული გაჯირჯვების შესწავლით. გაჯირჯვების ხარისხი განსაზღვრულია წონითი მეთოდით: ნიმუშის აწონით გამხსნელთან (ქლოროფორმთან) კონტაქტირებით და წონასწორული გაჯირჯვების შემდეგ [5]:

$$Q_{\infty} = \frac{m - m_0}{m_0} \cdot \frac{d_3}{d_0} \cdot \frac{1}{\varphi},$$

სადაც  $m$ ,  $m_0$  გაჯირჯვებული და მშრალი ნიმუშის წონებია;  $d_3$ ,  $d_0$  – ელასტომერის და გამხსნელის სიმკვრივე;  $\varphi$  – ელასტომერის ფარდობითი შემცველობა ნიმუშში.



ნახ. 3. ბუტადიენ-ნიტრილური (ნსკ-40) ელასტომერის ბაზაზე დამზადებული ტექნიკური ნახშირბადით შევსებული რეზინის ნარევის გულკანიზაციის კინეტიკა (დიფერენციალური ფორმა).

1. – პლასტიფიკატორის გარეშე; 2. – 2 % დბფ; 3. – 5 % დბფ; 4 – 10 % დბფ

გულკანიზატების გაჯირჯვების მონაცემები მოყვანილია მე-2 ცხრილში, სადაც ჩანს, რომ დიდი რაოდენობით პლასტიფიკატორ (5 %-ზე მეტი) დბფ-ის რეზინის ნარევში შეყვანისას შე-

სამჩნევად იზრდება ქლოროფორმში გულკანიზატის გაჯირჯვების მაჩვენებელი, რაც ველდიდი რაოდენობით პლასტიფიკატორ (5 %-ზე კანიზაციური ბადის სიხშირის შემცირებაზე მიუთითებს.

### ცხრილი 1

პლასტიფიკატორის ტიპისა და რაოდენობის გავლენა  
ბუტადიენ-ნიტრილური ელასტომერის ბაზაზე დამზადებული რეზინის  
ნარევის გულკანიზაციის პროცესზე (Тვულჯ=143°C)

პლასტიფიკატორის ტიპი და რაოდენ- ობა	შევსებელი გულკანიზატები			შევსებული გულკანიზატები (ტექნიკური ნახშირბადი, პ-324)					
	–	დბფ 5%	ლბ-7 5%	–	დბფ 2%	დბფ 5%	დბფ 10%	ლბ-7 5%	დბს 5%
М <sub>მინ</sub>	6,1	3,5	4	17,4	15,1	13	10	11	10,9
М <sub>მაქ.</sub>	22,5	17,6	17,5	52	46,4	45	36,5	40,5	43,5
Δ M	16,4	14,1	13,5	34,8	31,4	32	26,5	29,5	32,6
M <sub>ობი</sub>	20,86	16,19	16,50	48,52	42,91	41,8	33,85	37,55	40,24
T <sub>ობი</sub>	19	19	19	15	13	13	15	15	14

ცხრილი 2

**ქლოროფორმში ვულკანიზატების წონასწორული გაჯირჯვების  
მაჩვენებელი (ფარდობით ერთეულებში)**

შეუვსებელი ვულკანიზატები			შეუვსებული ვულკანიზატები					
-	5% დბფ	5% ლბ-7	-	5% დბფ	10% დბფ	20% დბფ	5% დბს	5% ლბ-7
10,63	11,00	10,63	7,00	7,31	10,16	20,00	9,21	7,70

ცხრილი 3

**ვულკანიზატების ყინვაგამძლეობის მაჩვენებლების  
დამოკიდებულება პლასტიფიკატორის ტიპსა და რაოდენობაზე**

პლასტიფიკატორის ტიპი და რაოდენ- ობა  ყინვაგამძ- ლეობის მაჩვენებლები	შეუვსებელი ვულკანიზატები			შეუვსებული ვულკანიზატები (ტექნიკური ნახშირბადი, პ-324)					
	-	დბფ 5%	ლბ-7 5%	-	დბფ 2%	დბფ 5%	დბფ 10%	დბს 5%	ლბ-7 5%
ყინვაგამძლეობა ელასტიკური აღდგენისას E <sub>q,p</sub> =20% T=-20°C, კადდგ.	0,04	0,52	0,63	0,07	0,41	0,55	0,59	0,70	0,68
სიმყიფის ტემპერატურა, T°C	-23	-28	-30	-32	-28	-30	-34	-35	-34

შესწავლითა ჩვენ მიერ დამუშავებული ყველა ვულკანიზატების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, კერძოდ, დაბალტემპერატურული, ყინვაგამძლეობის მაჩვენებლები: ყინვაგამძლეობა ელასტიკური აღდგენისას (ნიმუშის შეკუმშევისას E<sub>q,p</sub>=20%, -20°C ტემპერატურაზე – ელასტიკური აღდგენის კოეფიციენტი კადდგ.) და რეზინის სიმყიფის ტემპერატურა, °C. როგორც მე-3 ცხრილშია ნაჩვენები, პლასტიფიკატორების შეკვანისას ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უმჯობესდება, განსაკუთრებით დას-ს შემთხვევაში.

შერჩეული რაოდენობა (5%) რეზინის ნაკეთობათა ყინვაგამძლეობის მაჩვენებლებს შესამჩნევად აუმჯობესებს.

### ლიტერატურა

- Geisler W.O., Koutsky J.A., Dibernegemmo A.T. Amorphous state transitions in Butadiene – acrylonitrile copolymers. J of app. polymer science, 1970, v. 14, p. 89-102.
- Аверко-Антонович И.Ю. Методы исследования структуры и свойств полимеров. Казань, 2002. –543с.
- Тагер А.А. Физико-химия полимеров. 3-е изд., переработанное. – М.: Химия, 2010. – 544 с.
- Rigbi Z. The swelling of nonuniformly crosslinked polymers in solvents. Amer. Chem. Soc. Polymer. Preprints. 1970 V. 11, N2, p. 580-590.
- Шварц А.Г. Применение метода набухания при изучении свойств различных резин // Каучук и резина, 1995, №4, с. 39-43.

### 3. დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ 5% პლასტიფიკატორების – დბფ, დბს ან ლბ-7 შეკვანა ბუტა-დიენ-ნიტრილური ელასტომერის ბაზაზე დამზადებული რეზინის ნარევში თითქმის არ ცვლის ვულკანიზაციური ბადის საშუალო სიხშირეს. პლასტიფიკატორის რაოდენობის ზრდა კი იწვევს ვულკანიზაციის ხარისხის შემცირებას. ამავე დროს პლასტიფიკატორების ჩვენ მიერ

UDC 678.049 : 678.023

## THE INFLUENCE OF PLASTICIZERS ON THE STRUCTURE OF BUTADIENE-NITRILE ELASTOMERS VULCANIZATES

**Q. Gubeladze**

Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** With using methods of differential vulcamete and equilibrium swelling was conducted optimum amount of plasticizers: 5 wt % DBP, DBS or LZ-7 for butadiene-nitrile (SKN-40) vulcanizates.

**Key words:** plasticizer; butadiene acrylonitrile co-polymers; vulcanizates; reometer; equilibrium swelling.

УДК 678.049 : 678.023

## ВЛИЯНИЕ ПЛАСТИФИКАТОРОВ НА СТРУКТУРУ ВУЛКАНИЗАТОВ БУТАДИОН-НИТРИЛЬНЫХ ЭЛАСТОМЕРОВ (СКН-40)

**Губеладзе К.М.**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 69

**Резюме:** С использованием методов дифференциальной вулканометрии и равновесного набухания выбрано оптимальное количество пластификаторов, а именно, по 5 масс % ДБФ, ДБС или ЛЗ-7, для вулканизатов на основе бутадион-нитрильных эластомеров (СКН-40).

**Ключевые слова:** пластификатор; сополимер бутадиона с акрилонитритом; вулканизаты, реометр; равновесное набухание.

მიღებულია დასაბუქდად 19.07.13

უაკ 539.3:678.049:678.063

დეფორმაციისა და ალასტიზიკაციის გავლენა რეზისის ვულკანიზაციური  
გადის ძვრადობაზე

**ქ. გუბელაძე**

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: gubeladze qeti@rambler.ru

**რეზიუმე:** ნაჩვენებია, რომ 5 % დბს, დბფ ან  
ლ-7-ის შევანისას ბუტადიენ-ნიტრილური  
ელასტომერის ბაზაზე დამზადებულ წონასწორ-  
რულად დეფორმირებულ ვულკანიზატებში ხდე-

ბა მაღალელასტიკურობის დაგარგვის ტემპე-  
რატურის დაწევა და ცოცვადობის ტემპერა-  
ტურის აწევა, რაც მიუთითებს ვულკანიზაციურ  
ბადეზი მოლებულური ჯაჭვების მონაკვეთების  
ძვრადობის ზრდაზე. შეიძლება ვივარაჟდოთ,

რომ წონასწორულდად დეფორმირებულ ვულკანიზაციებში პლასტიფიკატორის განაწილება იწვევს ვულკანიზაციური ბადის მოლექულური ჯაჭვების როგორც მოკლე, ასევე გრძელი მონაკვეთების დაჭიმვას.

დადგენილია, რომ დბს კარგი პლასტიფიკატორია ბუტადიენ-ნიტროლური ელასტომერის ბაზაზე დამზადებული რეზინებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** დეფორმაცია; პლასტიფიკატორი; ვულკანიზაციები; წონასწორული თერმომექანიკური ანალიზი; ბუტადიენისა და აკრილონიტრიდის თანაპოლიმერი.

## 1. შესავალი

მაღალელასტიკურობის სტატისტიკური თეორიის [1] თანახმად, მუდმივ დატვირთვაში მყოფი იზოლირებული, თავისუფლად შერწყმული მაღალმოლექულური ჯაჭვის დეფორმაცია შეზღუდულია, ჯაჭვის ბრუნვითი და რხევითი ენერგიით მოცემულ ტემპერატურაზე ელასტომერებისათვის ტემპერატურის შემცირება იწვევს ჯაჭვის ენერგიის შემცირებას და წაგრძელებას, ხოლო ტემპერატურის გაზრდა – ენერგიის ზრდას და, შესაბამისად, მოლექულური ჯაჭვის შეცვალას (ჯოულისა და ჰექსის ეფექტი) [2].

ვულკანიზაციური ბადის კვანძებს შორის მოთავსებული უფრო მოკლე მოლექულური ჯაჭვები ძვრადობის უნარს ამჟღავნებს დაბალ ტემპერატურაზე (მაღალელასტიკურობის დაკარგვის ტემპერატურა  $T_{\text{ად}}$ ), ხოლო გრძელი ჯაჭვების ძვრადობის უნარი მეღავნდება მაღალი ტემპერატურისას (ბლანტდენადობის ანუ ცოცვის დაწყების ტემპერატურა  $T_{\text{ცო}}$ ). აქედან გამოდინარე,  $T_{\text{ად}} - T_{\text{ცო}}$  ტემპერატურული დიაპაზონის გაფართოება ნიშნავს მოკლე ჯაჭვების გადასვლას დეფორმირებულ მდგრამარეობაში  $T_{\text{ად}}$  შემცირებისას და გრძელი ჯაჭვების დეფორმირებას –  $T_{\text{ცო}}$  ზრდისას. სტატიკური ტემპერატურულდად გაჭიმული ნიმუშის შეცვალის სიდიდე  $T_{\text{ად}} - T_{\text{ცო}}$  ტემპერატურულ დიაპაზონში არის აქტიური მოლექულური ჯაჭვების ანუ ვულკანიზაციური ბადის იმ მონაკვეთების ძვრადობის საზომი, რომლებიც გაჭიმულია მოცემული დეფორმაციისას [3, 4].

## 2. ძირითადი ნაწილი

კვლევის ობიექტია ტექნიკური ნახშირბადით შევსებული ბუტადიენისა და აკრილონიტრილის თანაპოლიმერის (შემდგომში, ბუტადიენ-ნიტრი-

ლური ელასტომერი, მარკა ნსკ-40) ბაზაზე დამზადებული ვულკანიზაციები. პლასტიფიკატორებად გამოყენებული იყო: დიბუტილსებაცინატი (დბს), სინთეტიკური ცხიმოვანი მეჟვებისა (ფრაქცია C<sub>5</sub> – C<sub>9</sub>) და დიეთოლენგლიკოლის რთული ეთერი (ლზ-7) და დიბუტილფტალატი (დბფ). ბუტადიენ-ნიტრილური ელასტომერის ბაზაზე არაპლასტიფიკორებული და პლასტიფიკატორების სხვადასხვარაოდენბის გამოყენებით დამზადებული ვულკანიზაციების ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით გამოკვლევამ დაგვანახა, რომ 5% პლასტიფიკატორის შევანა რეზინის ნარვში ოპტიმალურია და არ ცვლის მისი ვულკანიზაციური ბადის სიხშირეს.

დეფორმაციისა და პლასტიფიკაციის გავლენა რეზინის ვულკანიზაციური ბადის ძვრადობის უნარზე გამოკვლეული იყო წონასწორული თერმომექანიკური ანალიზის (წომა) მეთოდით [3,4]. 72 საათის განმავლობაში წონასწორულ მდგრამარებაში მოვალეობით მუდმივი ტვირთით გაჭიმული რეზინის ნიმუში, რომლის ზომებია 60x1x0,5 მმ, თავსდება მინის ჭურჭელში ვაკუუმის (0,133 პა) პირობებში  $-150^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, რის შემდეგ იწყება სისტემაში ტემპერატურის აწევა  $3-5^{\circ}\text{C}$ -ით წუთში. გახურების პროცესში ტარდება რეზინის ნიმუშის დეფორმაციის ცვლილების ათვალისწინებით ტემპერატურის ზრდაზე დამოკიდებულებით, კათეტომეტრის მეშვეობით. მიღებული მონაცემების დამუშავებით აიგება წომა მრუდები კორდინატებში –  $\Delta\varepsilon, \%$  –  $T, ^{\circ}\text{C}$  (ნახაზი). ნიმუშის ფარდობითი დეფორმაციის ნაზარდი –  $\Delta\varepsilon_T, \%$  ცდის მოცემულ ტემპერატურაზე (T<sub>1</sub>) იანგარიშება ფორმულით:

$$\Delta\varepsilon T_i = \frac{C_{T_i} - C_{20^{\circ}}}{l_3} \cdot 100,$$


სადაც  $l_3$  ნიმუშის სიგრძეა გაჭიმულ მდგრამარებაში, მმ;  $C_{T_i}$  და  $C_{20^{\circ}}$  – კათეტომეტრის ჩვენება, შესაბამისად,  $T_i$  და  $T_{20^{\circ}}$  ტემპერატურებზე. ნიმუშის ჯამური დეფორმაცია  $T_{\text{ად}} - T_{\text{ცო}}$  ტემპერატურულ დიაპაზონში აღინიშნება, როგორც მაღალი ელასტიკური შეცვალის ჯამური ხარისხი –  $\Delta\varepsilon$ . იგი ვულკანიზაციური ბადის მოლექულური ჯაჭვების ანუ ვულკანიზაციური ბადის იმ მონაკვეთების ძვრადობის უნარის საზომია მოცემულ ტემპერატურულ დაბაზონში. ვულკანიზაციური ბადის თერმომედეგობის დამახასიათებელი სიდიდე – ნიმუშის ფარდობითი დეფორმირების სიჩქარე მოცემულ ტემპერატურაზე გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{d}{dT_i} = \frac{\Delta\varepsilon T_{i-5^{\circ}} - \Delta\varepsilon T_{i+5^{\circ}}}{10 \cdot \varepsilon_{(ფარდ.T_i)}},$$

სადაც  $\Delta\varepsilon_{T_{i-5}}$  და  $\Delta\varepsilon_{T_{i+5}}$ , შესაბამისად, ნიმუშის ფარდობითი დეფორმაციის ნაზარდია  $T_{i-5}$  და  $T_{i+5}$  ტემპერატურებზე; 10 – ტემპერატურების ანათვლებს შორის სხვაობა,  $^{\circ}\text{C}$ ;  $\varepsilon(\text{ფარდ } T_i)$  – ნიმუშის ფარდობითი დეფორმაცია  $T_i$  ტემპერატურაზე –  $\varepsilon(\text{ფარდ } T_i) = \varepsilon_{\text{ფო}}^{20^{\circ}\text{C}} + \Delta\varepsilon_{T_i}$ .

შევსებული, არაპლასტიფირებული ვულკანიზაციების სხვადასხვა წონასწორული დეფორმაციისას ( $\varepsilon_{\text{ფო}}$ ) ჩატარებული წომა მონაცემების დამუშავებით მიღებული მრუდების ანალიზი გვიჩვენებს (ნახაზი), რომ  $\varepsilon_{\text{ფო}}$  ზრდისას, დეფორმაციის ზრდასთან ერთად, შეი-

ნიშნება მაღალელასტიკური შეცუმშვის ჯამური ხარისხის (ΣΔε) ზრდა, რაც მეტყველებს ვულკანიზაციური ბადის მოლეკულური ჯაჭვების ძვრადობის უნარის რამდენადმე ამაღლებაზე. ცხრილში მოყვანილია  $T_{\text{მდ}}$  მაღალელასტიკურობის დაკარგვისა და  $T_{\text{ცო}}$  ცოცვის დაწყების ტემპერატურები.  $\varepsilon_{\text{ფო}}$  ზრდასთან ერთად  $T_{\text{მდ}}$  მცირდება  $-10^{\circ}\text{C}$ -დან  $-20^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო  $T_{\text{ცო}}$  იზრდება  $+145^{\circ}\text{C}$ -დან  $+160^{\circ}\text{C}$ -მდე. ამ შედეგით დავასკვნით, რომ  $\varepsilon_{\text{ფო}}$  ზრდისას დეფორმაციას ექვემდებარება ვულკანიზაციური ბადის როგორც შედარებით მოკლე, ასევე უფრო გრძელი მოლებულური ჯაჭვები.



არაპლასტიფირებული ვულკანიზაციების წონასწორული თერმომექანიკური ანალიზის მრუდები:

1 –  $\varepsilon_{\text{won}}=0$ ; 2 –  $\varepsilon_{\text{won}}=26\%$ ; 3 –  $\varepsilon_{\text{won}}=54\%$ ; 4 –  $\varepsilon_{\text{won}}=76\%$ ; 5 –  $\varepsilon_{\text{won}}=110\%$

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ „საგადასახადო სისტემა“ და „გადასახადების სისტემა“ არა-ტოლფასი ცნებებია. საგადასახადო სისტემა უფრო ფართო ცნებაა, ხასიათდება ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური მაჩვენებლებით.

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემა ძირითადად 1991–1992 წლების მიჯნაზე, ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებისა და საბაზო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში, ჩამოყალიბდა. რეალური საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების უქონლობამ, კანონმდებლობის შესამუშავებლად დაშვებულმა შემჭიდროებულმა ვადებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა ქვეყანაში უშეალოდ იმოქმედა მის ჩამოყალიბებაზე. საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა საზღვარგარეთის ქვეების გამოცდილების ბაზაზე იქმნებოდა. ამის გამო, იგი საერთო სტრუქტურითა და აგებულების პრინციპებით შეესაბამება მსოფლიო ეკონომიკაში გავრცელებული გადასახადებით დაბეგვრის სისტემებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი ელემენტები ყალიბდებოდა ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს საგადასახადო მოდელის საფუძვლს შეადგენს ორი სახის გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ყველაზე მნიშვნელოვანია. პირველი სახის გადასახადები დაკავშირებულია შემოსავალთან (მოგებასთან), რომელსაც იდებენ იურიდიული და ფიზიკური პირები შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის პროცესში, ხოლო მეორე სახის გადასახადები დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებულ ამონაგებთან, ე.ი. ბრუნვასთან. მიუხედავად გადასახადების სიმრავლისა, საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის კველა საგადასახადო შემოსავლის უდიდეს ნაწილს შეადგენს მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და დღგ.

საქართველოს საგადასახადო სისტემის არსებით ნაკლოვანებად ითვლება მისი არასტაბილურობა და არარეგულირება. კანონები გადასახადებით დაბეგვრის ახალი რეჟიმის შემოღების შესახებ ხშირად მიიღება და იცვლება ფინანსური წლის განმავლობაში. ცალკეულ შემთხვევებში ახლად წარმოქმნილი ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების უქონლობას მივყავარო იქამდე, რომ არსებული ნაკლოვანებები იგსება სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებით.

გადასახადების სახეებით საქართველოს საგადასახადო სისტემა შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, ვინაიდნა გადასახადები ქონებაზე, შემოსავლებსა და მოხმარებაზე ნებისმიერი საგადასახადო სისტემის საფუძველია. სხვას პრაქტიკა უბრალოდ არ იცნობს.

### 3. დასკვნა

დღეისათვის მუშავდება გრძელვადიანი საგადასახადო სტრატეგია, რომელიც მომავალში შეძლებს ქვეყნისთვის მომგებიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, მეწარმეობისთვის ხელის შეწყობას და მათი ინტერესების დაცვას, ასევე დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამგვარი პირობა შეიძლება ერთი შეხედვით ერთმანეთთან შეუთავსებელიც ჩანდეს, მაგრამ თუ მოხერხდება ამ ინტერესების გონივრული შეთავსება და სინთეზი, ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის ხარჯზე, მაშინ შედეგი ნამდვილად იქნება ეფექტური მომზადები. ამის ნათელი მაგალითია საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ.

### ლიტერატურა

9. ზ. როგავა. საგადასახადო სამართალი. თბილისი: ბაქმი, 2009.
10. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2013 წელი.
11. რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. თბილისი, 2010.
12. გ. გამსახურდია. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი: მერიდიანი, 2007.
13. [www.Taxsits.com](http://www.Taxsits.com)
14. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
15. [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)
16. [www.internationaltaxreview.com](http://www.internationaltaxreview.com)

UDC 339.92

**THE STRUCTURE OF THE TAXES AND ITS OBJECTIVE NECESSITY****G. Sulashvili, S. Japharidze**

Department of business administration, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Perfection of the sectoral structure of tax revenues stipulates due to the significant improvement in the determination of tax rates applicable tax laws, rules and methods for collecting and effective tax system in the country. Organically this is linked to the budgetary revenue of the optimal tax framework and the optimal tax - budgetary policy. Therefore, it is important to Georgia in the formation of the optimal tax revenues, which guarantees the stability of public finances.

**Key words:** Taxation system; the tax-payer; taxes.

**УДК 339.92****СТРУКТУРА НАЛОГОВ И ИХ ОБЪЕКТИВНАЯ НЕОБХОДИМОСТЬ****Сулашвили Г.В., Джапаридзе С.М.**

Департамент администрирования бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Совершенствование отраслевой структуры налоговых поступлений обуславливает, согласно действующему в стране налоговому законодательству, определение их поступлений и порядок и методы формирования бюджетной политики и оптимальной налоговой базы, что гарантирует стабильность государственных финансов.

**Ключевые слова:** налоговая система; налогоплательщик; налоги.

*გთილებულია დასაბუქდად 24.06.13*

**შაბ 339.92****გვრცელებული ინცორმაციის გადამუშავების ეფექტური სისტემები**

ნ. ფაილოძე\*, ა. კობიაშვილი, პ. რამაზაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოტავას 77

E-mail: n.pailodze@gtu.ge

**რეზიუმე:** ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის ფინანსური მდგრადერებისა და ფინანსური შედეგების შედარებისათვის. ინვესტორებს შესანიშნავად ესმით, რომ კლიენტთა შო-

რის ურთიერთობის ისტორიები, კომპანიათა მიერ სტრუქტურულ ფორმაში დაგროვილი ინფორმაციები, ასევე ამ ინფორმაციების შეგროვება და ანალიზი წარმატების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

**საკვანძო სიტყვები:** საინფორმაციო სისტემები; ბიზნესპროცესების რეინჟინირინგი; სისტემური დაპროექტება.

## 1. შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესმა მიღწევებმა, ერთი მხრივ, გაზარდა მომხმარებელთა შესაძლებლობები და გააძლიერა მათი გავლენა მწარმოებლებზე, მეორე მხრივ, აღჭურვა კორპორაციები და ცალკეული მომუშავენი ინსტრუმენტებით, რომლებიც რადიკალურად ზრდიდნენ წარმოებას.

ბაზრის დინამიკამ, გლობალურმა კონკურენციამ გაამძაფრა მოთხოვნები საწარმოო რეკონსტრუქციების სტრუქტურების მიმართ და გამოიწვია ცხოვრების მიმართ ბიზნესის BPR რეინჟინირებული მიდგომა, მსხვილი ორგანიზაციებისა და კიბერკორპორაციების ავტომატიზებული ფუნქციონირებისათვის თრიენტირებული კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების გამოყენება (საექსპერტო სისტემები, გადაწყვეტილების მიღების მრჩეველი სისტემები, ინფორმაციული ინტელექტუალური სისტემები, მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემები, საფინანსო აღრიცხვების ინფორმაციული სისტემები და ა.შ.).

## 2. ძირითადი ნაწილი

ოპერატორი მართვის სისტემის დანერგვით, სისტემური ორგანიზაციის მართვის სარჯოება, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების ეფექტურობის შემდგრი მაჩვენებლები:

- სწორად აღვიქვათ, გავანალიზოთ და პროგნოზი გავაკეთოთ შიგა პირობებზე და დროულად გავანაწილოთ რესურსები.
- ეფექტურად გამოვიყენოთ რესურსები წარმოების შედეგის მისაღწევად.
- გავითვალისწიოთ ფირმის სტრუქტურული ქედების ინტეგრაციის ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმებას მათ მოქმედებაში საერთო მიზნის მისაღწევად.
- ფირმის სიმყარე და შეგუება შიგა სფეროს ცვალებად პირობებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტურობის მნიშვნელოვანი პირობაა უარი ითქვას მკეთრად და მკაცრად ჩამოყალიბებულ სტრუქტურებსა და მართვის პროცედურებზე, რომელიც დამყარებულია გამოცდილებაზე და არა ახალ მოთხოვნილებაზე.

ვიწრო სპეციალობაში სისტემური დაპროექ-

ტება განიხილება, როგორც მეთოდების ნაკრები და ორგანიზებული დისციპლინა, რომელიც განკუთვნილია ИС-ინფორმაციული სისტემის გარაჟული სახეობისათვის.

ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების ახალი მიმართულება, ახალი სისტემური დაპროექტები (H.C.P) არის სამი ნაწილის ინტეგრაცია: ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების და სოციალურფსიქოლოგიური მეთოდების.

ბიზნესპროცესები ერთმანეთზე დამოკიდებული ქმედებების ლოგიკური სერიებია, რომლებიც იყენებს წარმოების რესურსებს მომავალში შემკვეთის ისეთი სასარგებლო გამოსავლისათვის, როგორიცაა პროდუქტი ან მომსახურება.

ბიზნესინჟინირინგის ძირითადი საყრდენი პროცესული მიდგომაა, სადაც მართვის ობიექტი საწარმოში მიმდინარე პროცესებია. რეინჟინირინგი, როგორც ბიზნესინჟინერინგის ნაწილი, გარდაქმნის ტექნიკა. გარდაქმნისა და განახლებისათვის ინვაციური მიდგომა და რესურსებია საჭირო. ასეთ რესურსებად შესაძლებელია ადამიანური რესურსები და ბიზნესის სფეროში მიმდინარე სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები მივიწიოთ.

ბიზნესპროცესების რეინჟინირინგში (BPR) (ბიზნესპროცესების რეკონსტრუქცია) წინა პლანზე წამოწეული ახალი მიზნები და მეთოდები, რომლებიც ნაკარნახევია მსოფლიოს ახალი სიტუაციებით:

- დროის დანახარჯის მკვეთრად შემცირება ფუნქციების შესასრულებლად;
- მუშახლის მკვეთრი შემცირება და სხვა დანახარჯების შემცირება ფუნქციების შესასრულებლად;
- ბიზნესის გლობალიზაცია: მუშაობა კლიენტებსა და პარტნიორებთან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში;
- მუშაობა კლიენტებთან განრიგით 24\* 365;
- პერსონალის მობილურობის ზრდაზე დამყარება;
- მუშაობა კლიენტის სამომავლო მოთხოვნილებებზე;
- ახალი ტექნოლოგიების დაჩარებული წინსვლა;
- საინფორმაციო საზოგადოებაში მოძრაობა („ცოდნის საზოგადოება“).

ნათქვამის შესაბამისად, ახალ ბიზნესმოდულში, როგორც მინიმუმი, შედის საორგანიზაციო, მეთოდური და საინფორმაციო კომპონენტების ნაკრები, რომელიც ზემოთ აღწერილს უზრუნველყოფს.


- ფირმის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის პერსონალურ მოთხოვ-

ნიღებებზე:

- ბიზნესწევების ან ბიზნესპროცედურების ახალი ნაკრები, რომელიც უფლებას მოგვცემს შეგამციროთ დანასარჯი გადაწყვეტილების მიღების დროს (ჩაქტიკურისა და სტრატეგიულისთვის);
- საორგანიზაციო სტრუქტურების ახალი ნაკრები, რომელიც გათვლილია (ორიენტირებულია) იმავე მიზნებისთვის;
- მომეუშავე პერსონალის, მათი უფლებებისა და რესურსების ახალი პირობები და ახალი სივრცე;
- ახალი მიღომა მომხმარებლისაგან ინფორმაციის მისაღებად;
- ყველა წინამდებარე პროცედურისა და სტრუქტურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა ინფორმაციული სისტემების დახმარებით, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.

აგრომატიზებული ინფორმაციული სისტემების ახალი მიმართულება არის ახალი სისტემური დაპროექტება, რომელიც ბიზნესპროცესების რეინინგრინგის მიღომების ინტეგრაციაა, რომელიც ითვალისწინებს, რომ საწარმოო პროცესებსა და ინფორმაციულ სისტემებში კონკრეტულმა ადამიანებმა უნდა იმუშაონ.

ახალი სისტემური დაპროექტების სამი შემთხვევაში ნაწილი შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით:



НСП - ახალი თანამედროვე პროექტები

**A** - ახალი (ИТ) ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემის დაპროექტების საკუთარი მეთოდები, რომელიც არაპირდაპირკავშირშია საორგანიზაციო - საწარმოო დანართებთან.

**B** - ბიზნესპროცესების რეინინგრინგი, როგორც საწარმოს მართვის მეთოდების რე-

კონსტრუქციის ჯამი, მით უფრო იხეთი ღრმა და რადიკალური მეთოდების, რომლებიც საჭიროა და დაშვებული კონკრეტულ შემთხვევაში.

**C** - სოციალური ფინანსობრივი, მრომის ფინანსობრივი და სხვა მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს „ადამიანურ ფაქტორებს“.

**AB** მიღამო – **A**-სა და **B**-ს გადაკვეთა იძლევა ინფორმაციული სისტემების თანამედროვე კონკორაციების შექმნის მეთოდებს, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად, თუ მათში გათვალისწინებული არ არის ადამიანის მიზნები, შესაძლებლობები და შეზღუდვები.

**BC** მიღამო – **B**-სა და **C**-ს გადაკვეთა იძლევა ბიზნესპროცესების რეინინგრინგის მეთოდებს, სოციოფსიქოლოგების და საორგანიზაციო კონსულტაციების შეველა აუცილებელ რეკომენდაციას, თუმცა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების მეთოდების გარეშე არ იძლევა სასურველ შედეგებს, არც BPR-ისა და არც ტოტალური ბიზნესპროცესების რეინინგრინგის კიბერკორპორაციისათვის.

**AC** მიღამო – **A**-სა და **C**-ს გადაკვეთა იძლევა მომხმარებლის ინტერფეისების დანართების შექმნის მეთოდებს, რომელიც ითვალისწინებს ინინრეული ფინანსობრივის მოთხოვნებს, მაგრამ არ ითვალისწინებს დაპროექტების სისტემის მეთოდებს თანამედროვე კორპორაციებისათვის.

ამ წყაროების გადაკვეთის და ურთიერთშედებების ხარისხი ბევრჯერ გაიზარდა 70–80-იან წლებით შედარებით.

შედეგად წარმოქმნა რეალურად არსებული ყველა (სამივე) წყაროს გადაკვეთა, რომელიც ახალი სისტემური დაპროექტების მიღამო გახდა.

ბიზნესპროცესების რეინინგრინგის აქტუალურობა განპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ თანამედროვე ბაზრის შეუსაბამო სისტემური შეცდომების აღმოფხერა კი არ მოხდეს, არამედ დაინერგოს ბიზნესის პრინციპულად ახალი მოდელი. საქართველოში, მიუხედავად განვითარებისადმი მიზანმიმართული სწრაფვისა, რეინინგრინგი, როგორც ბიზნესის ეფექტურობის გასაუმჯობესებელი, პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება.

### 3. დასკვნა

რეინინგრინგის შესწავლის არსი მდგომარეობს ორგანიზაციის ძირითადი ბიზნესპროცესების გამოყოფასა და მათ საფუძვლიან შეცვლაში საუკეთესო შედეგის მისაღწევად. იმის გათვალისწინებით, რომ რეინინგრინგი, უპირველეს ყოვლისა, მოისაზრებს საწარმოს ბიზნესპროცესების კვლევასა და გადახედვას, რეინინგრინგის ფარგლებში ძირითადი ქმედებები არის

ძირითადი ბიზნესპროცესების გამოყოფა, მათი აღწერა ყველასათვის გასაგებ ენაზე და ანალიზი მისი შემდგომი გარდაქმნისათვის. ბიზნესპროცესების გამოყოფის მთავარი მიზანი ორგანიზაციის ფუნქციონირების საერთო სურათის მიღებაა, რომელიც აისახება წარმოების ფუნქციონირებაში ჩართულ ყველა რესურსზე, პროცედურების შესრულების თანამიმდევრობასა და ამ პროცედურების შესრულების შედეგებზე.

### **ლიტერატურა**

1. Другова З.К., Битерякова А.М. Система внутреннего контроля и качество управления // Российские азтеки, №2,-2007.
2. Managerial Economics, fifth edition, Paul G. Keat, Philip K. Y. Young , 2006
3. 2005 – 320 c.

**UDC 339.92**

## **EFFECTIVENESS OF SYSTEMS OF ECONOMIC INFORMATION**

**N. Pailodze, A. Kobiashvili, C. Ramazashvili**

Department of business administration, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The existence of information systems is an important factor for the comparison of the company's financial position and financial results. Investors are well aware, that the history of relations between customers, information of companies collected in the structural form, as well as the collection and analysis of this information determine the future success - one of the main factors.

**Key words:** information systems; business - reengineering processes; systematic projecting.

**УДК 339.92**

## **ЭФФЕКТИВНОСТЬ СИСТЕМ ОБРАБОТКИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ИНФОРМАЦИИ**

**Паилодзе Н.Р., Кобиашвили А.А., Рамазашвили К.Т.**

Департамент администрирования бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Существование информационных систем является важным фактором для сравнения финансового положения компании и финансовых результатов. Инвесторы прекрасно понимают, что истории отношений между клиентами, информация о компаниях, собранная в структурной форме, и анализ этой информации определяют будущий успех - один из основных факторов.

**Ключевые слова:** информационные системы; реинжиниринг бизнес-процессов; системное проектирование.

*მიღებულია დასაბუქდა 24.06.13*

**შაპ 339.92**

## ძირითადი საშუალებების ცვეთის ბანსაზღვრის მეთოდიკა

**ნ. ფაილოძე, ა. ქობიაშვილი, კ. რამაზაშვილი**

ბიზნესის აღმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.pailodze@gtu.ge

**რეზიუმე:** ცვეთის დარიცხვის მეთოდების სიმრავლე საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ ისეთი მეთოდი, რომელმაც უნდა ასახოს საწარმოს მიერ აქტივიდან მისაღები, ეკონომიკური სარგებლის მიღების სასიათი. სტანდარტის მიხედვით, ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის დარიცხვის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის სასიათში, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს ცვეთის დარიცხვის მეთოდიც.

**საკანონი სიტყვები:** ძირითადი საშუალებები; ამორტიზაცია; ამორტიზაციის დარიცხვა.

### 1. შესავალი

სამორტიზაციო ანარიცხები კვლავწარმოებით პროცესში, ძირითადი საშუალებების შედეგად, მათი თავდაპირველი დირექტულების გაცემითი ნაწილის თანხობრივი გამოხატულებაა. იგი გამიზნებულია ძირითადი საშუალებების ნაწილობრივი ან სრული აღდგენისათვის. სამორტიზაციო ანარიცხები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამეცნიერო სუბიექტის თვითდაფინანსების უნარს. თავის მხრივ, ამ ანარიცხების სიღრღე დამოკიდებულია როგორც ძირითადი საწარმოო ფონდების თავდაპირველ დირექტულებზე და მათ სახეობრივ სტრუქტურაზე, ასევე სამორტიზაციო პოლიტიკასა და ამორტიზაციის დარიცხვის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებაზე.

### 2. ძირითადი ნაწილი

საწარმოს გრძელვადიანი და ეკონომიკური სარგებლის მომტანი აქტივების მომსახურების პერიოდში ცვეთის თანხის განსაზღვრა-განაწილებისა და საინვესტიციო სახსრების ფინანსებისათვის, საადრიცხვო მეცნიერება, საერთაშორისო სტანდარტებზე (ბასს-ზე) დაყრდნობით, იყენებს ძირითადი საშუალებების ცვეთის ჩამოწერისა და ამორტიზაციის დარიცხვის ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ რამდენიმე მეთოდს:

- ამორტიზაციის დარიცხვის (დირექტულების ჩამოწერის) წრფივი მეთოდი;

- წარმოებული პროდუქციის მოცულობის და გამომუშავებული დროის (მწარმოებლურობის) პროპრიციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი;
- ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების წლების რიცხვთა ჯამის პროპრიციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი;
- შემცირებადი ნაშთისა და გაორმაგებული ნორმის მიხედვით ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი.

წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იგივე თანხის დარიცხვას აქტივის მოელი მომსახურების ვადის მანძილზე, თუ არ შეიცვალა აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომლებსაც მოელი ვადის განმავლობაში მეტ-ნაკლებად თანაბრად მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. დირექტულების წრფივი ცვეთის მეთოდის გამოყენებისას ცვეთის ნორმა გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{წრფივი ჯეთის თანხა} = \frac{\text{პირველი დირექტულება-სალიკვიდაციო დირექტულება}}{\text{გამოყენების ვადა}}$$

ფინანსური ფუნქცია AMP(SLN) საშუალებას იძლევა წრფივი მეთოდით (straight line) განისაზღვროს ამორტიზაცია ერთი პერიოდის განმავლობაში.

AMP (SLN) ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი ასეთია:

=AMP (SLN) (cost,salvage,life);

=AMP (SLN) (საბალანსო დირექტულება, სალიკვიდაციო დირექტულება, ექსპლუატაციის ვადა).

დაგუშვათ, გვსურს განვსაზღვროთ დანადგარის ამორტიზაცია, რომლის საწყისი დირექტულება 8000 ლარი, ექსპლუატაციის ვადა 10 წელი და სალიკვიდაციო დირექტულება 500 ლარი.

ფუნქცია SLN ჩაწერის შემდეგი სახით:


=AMP(SLN) (8000; 500; 10).

ფორმულით ვადგენთ, რომ ყოველ წელს ამორტიზაცია 750 ლარს შეადგენს.

დირექტულების წრფივი ცვეთის მეთოდის გამოყენების დროს გაანგარიშებული ცვეთა ცხრილში მოცემულ სახეს მიიღებს.

ლირებულება	ნაშთი	ექსპლუატაციის ვადა
8000	7250	1
7250	6500	2
6500	5750	3
5750	5000	4
5000	4250	5
4250	3500	6
3500	2750	7
2750	2000	8
2000	1250	9
1250	500	10

ლირებულების წრფივი ცვეთის მეთოდის გამოყენებისას ცვეთის ნორმის გაანგარიშების დიაგრამას შემდეგი სახე აქვს:



შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენება იწვევს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდის გამოყენება ნიშავს ცვეთის დარიცხვას აქტივების მოსალოდნელი გამოყენების ან წარმოებული პროდუქციის საფუძველზე. საწარმო ირჩევს მეთოდს, რომელიც უკელაზე მეტად ასახავს აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი კონტრიკური სარგებლის გამოყენების მოდელს. ეს მეთოდი მუდმივად უნდა გამოიყენებოდეს პერიოდიდან პერიოდამდე, სანამ არ შეიცვლება მოცველელი აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელი მოდელი.

იმის დასადგენად გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 36-ს „აქტივების გაუფასურება“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს, თუ როგორ გადასინჯავს საწარმო თავისი აქტივების საბალანსო ლირებულებას, როგორ განსაზღვრავს აქტივის აღდგენით დირექტულებას და როდის აღიარებს ან აუქმებს გაუფასურების ზარალს.

სტანდარტით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა მოიცავდეს იმ პერიოდს, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი ხდება სამუშაო ერთეულისათვის, მიუხედავად იმისა, ამ დროს აქტივი ფუნქციონირებს თუ არა. აქტივის უმოქმედობის პერიოდებს, როგორც წესი, ადგილი აქვს უშუალოდ აქტივის შექმნის შემდეგ და მისი გასვლის ანუ გაყიდვის ან სამუშაო ერთეულიდან სხვა ფორმით გასვლის წინ.

მართებულია შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივზე, მისი ფუნქციონირების თუ უმოქმედობის მიუხედავად, ცვეთის ისე დარიცხვა, რომ ფინანსურ ანგარიშებაში აისახოს აქტივის სასარგებლო მომსახურების პოტენციალი, რომელიც აქტივის ფლობის პერიოდში გაიხსნა.

გრძელვადიან აქტივებზე გაორმაგებული ნორმისა და შემცირებადი ნაშთის მეთოდით ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ეწ. სამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტის მეშვეობით შემასწორებელი (მაკორექტირებელი) სამორტიზაციო თანხის გა-

მოანგარიშებასა და მომსახურების შესაბამის პრიოდებზე (წლებზე) მიკუთვნებას, უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებების ცვეთადი დირექტულების მაქსიმალური სიზუსტით განაწილებას და, მომსახურების წლების მიხედვით, ამორტიზაციის თანხების სწორად განსაზღვრა-მიკუთვნებას.

### 3. დასკვნა

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძირითად საშუალებათა ცვეთისა და სამორტიზაციო ანარიცების გაანგარიშების მეთოდიებს სიზუსტესა და სრულყოფას. იგი უშუალო კავშირშია სამეურნეო სუბიექტის საკუთარი საინვესტიციო რესურსებით უზრუნველყოფასთან.

მოქმედი მეთოდიების მიხედვით, გამოანგარიშებული სამორტიზაციო თანხების დაზუსტებისათვის საჭიროა, პირველ რიგში, დავადგინოთ ეწ. სამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტი, შემდეგ ამ კოეფიციენტის მეშვეობით გამოვიანგარიშოთ მომსახურების პერიოდის ცალკეულ მონაკვეთა (წლების მიხედვით) შემას-

წორებელი (მაკორექტირებელი) საამორტიზაციო ანარიცები.

### ლიტერატურა

1. ნ. ფაილოძე, ვ. ალანია, ზ. ლიპარტია, ვ. კეკენაძე, ო. ხუციშვილი, გ. სულაშვილი. საბუდალტო საქმე. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2013. გვ. 360.
2. ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. თბილისი, 2008. გვ. 564.
3. ACCA წიგნი 12. გვ. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის (საერთაშორისო პრაქტიკა). სახელმძღვანელო. თბილისი, 2003 წ. გვ. 565.
4. ACCA წიგნი 12. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის (საერთაშორისო პრაქტიკა). პრაქტიკული სავარჯიშოები. თბილისი, 2003 წ. გვ. 254.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2013.
6. Марк Додж, Крейг Стinson. Эффективная работа с MicrosoftExcel 2000. Санкт-Петербург, Москва, 2001.

**UDC 339.92**

## MODERN APPROACHES TO CALCULATE THE DEPRECIATION OF FIXED ASSETS

**N. Pailodze, A. Kobiashvili, K. Ramazashili**

Department of business administration, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Depreciation accrual methods set allows us to choose a method, which should reflect the economic benefits expected from the assets by an enterprise of this nature. According to the standard method of charging depreciation for fixed assets from time to time, at the end of the financial year, at least, should be reconsidered and if significant changes in the nature of economic benefits, expected from the assets, in accordance with the accrual method of depreciation must be changed as well.

**Key words:** fixed assets; amortization; depreciation norm.

**УДК 339.92**

## СОВРЕМЕННЫЕ СПОСОБЫ ВЫЧИСЛЕНИЯ АМОРТИЗАЦИИ ОСНОВНЫХ СРЕДСТВ

**Паилодзе Н.Р., Кобиашвили А.А., Рамазашвили К.Т.**

Департамент администрирования бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Множество методов начисления амортизации позволяет выбрать метод, который должен отражать экономические выгоды, ожидаемые от его использования. В соответствии со стандартом, метод начисления амортизации по основным средствам периодически, в конце финансового года, по крайней мере, должен быть пересмотрен, и если нет существенных изменений в характере экономических выгод, ожидаемых от актива, соответственно метод начисления амортизации должен быть изменен.

**Ключевые слова:** основные средства; амортизация; износ.

**თიღებულია დასაბუქდად 24.06.13**

# 06 ფიზიკატექნიკა და მართვის სისტემების სექცია

**შაპ 550.34**

**სამსახურის ბრძანებულების ნაწილში რჩევების სისტემის კვლევა**

**ი. კუცია\*, ვ. კეკენაძე**

მართვის სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: i.kutsia@gtu.ge

**რეზიუმე:** განიხილება დაბალი სიხშირის რჩევების რეგისტრაციის შესაძლებლობა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს მიკროსეისმურ ფონზე მიწისძვრის წინ. დედამიწის ქერქის ნაწილის მეტასტაბილურ მდგრმარეობაში გადასვლისას, მისთვის დამახასიათებელია რხევა. დედამიწის ქერქის ნაწილი შეიძლება შეერთოს დაბალი სიხშირის სპექტრს, რა დროსაც აღწევს პერიოდის ნიშნულს ასეულ წამში. იმისათვის, რომ რეგულარული დაკვირვებისას მიკროსეისმური ხმაურის ფონზე აღმოვაჩინოთ ასეთი გრძელპერიოდიანი რხევა, აუცილებელია გამოვიყენოთ საეციალური ფილტრაციის მეთოდები.

**საგანძო სიტყვები:** მიწისძვრა; სეისმური რხევა; გრძელპერიოდიანი რხევა.

## 1. შესავალი

დედამიწის ქერქის დიფუზური პროცესების შესწავლისას დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს მიკროსეისმური ფონის შედეგების დამუშავებაში. დედამიწის ქერქის გარემოში მიკროსეისმოები იძენს ტიპურ ფუნქციებს, რომელიც ასახავს როგორც დედამიწის ქერქის სტრუქტურას, ასევე მასში წარმოშობილი პროცესების დაგროვებისა და დაძაბულობის რელაქსაციას. დაბალი სიხშირის რხევებს განვაუთვნება წყალდიდობა, ქარიშხალი და ასევე ტალღები, რომლებიც წარმოიშობა ატმოსფერული პროცესების დამოუკიდებელი წნევის ცვლილებისას, ტურბულენტური ნაკადები ატმოსფეროში. გრძელპერიოდიანი რხევა შეიძლება დაკავშირებული იყოს სითხის ლოკა-

ლურ კონვექტიურ გადანაცვლებასთან, თკეანური ტალღების ენერგიის გარდაქმნასთან სეისმურ რხევებში, დიდ მანძილზე შტორმებთან, ასევე სხვა ნაკლებად შესწავლილ მოვლენებთან [1].

## 2. ძირითადი ნაწილი

დაბალი სიხშირიანი რხევები აღმოჩენილია 7 მაგნიტუდაზე დიდი მიწისძვრის წინ და რამდენიმე წუთიდან ათეულ წუთამდე პერიოდის დიაპაზონში გრძელდება [2,3]. დადგენილ იქნა, რომ ამ პერიოდის დიაპაზონში სეისმური რხევები მიწისძვრის წინ აღინიშნებოდა ცალკეული იმპულსებით, სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმის, ხოლო შუალედებში დროდადრო მიმდევრობითი იმპულსებით. ზოგიერთ ინტერვალში შეინიშნებოდა პერიოდულობა. მიწისძვრის მოახლოების მომენტისათვის ძლიერდება იმპულსების ფორმის ასიმეტრია, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა დადებითი და უარყოფითი ფაზის პოლარულობით. ასიმპტოტური იმპულსების სიხშირე და რეგულარულობა იზრდება [2,3]. მიწისძვრის დარგისტრირებულ ჩანაწერებში დღის განმაზლებაში, კრონცის მიწისძვრის შემდგომ, პერიოდული დაბალი სიხშირიანი რხევები 10 წუთის პერიოდით ქრებოდა, ვ.ი. როგორც ავტორები თვლიან, „გაქრენე“ [2]. ეს ადასტურებს კავშირს მიწისძვრის მომზადების პროცესთან. ყველა სეისმურ აქტიურ რეგიონში მიწისძვრის მომზადების ტიპური ნიშნები ძალიან განსხვავდებულია. თითოეული რეგიონის სეისმური ხასიათი უმეტესწილად დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე – დედამიწის ქერქის სტრუქტურაზე, შემაღებელი მახასიათებლის სახეობაზე, ხარვეზების რაო-

დენობაზე, მის ასაკზე, სიღრმეზე, სტრუქტურაზე და ა.შ. [4]. დაბალსიხშირიანი მოძრაობის სხვა მაგალითი შეიძლება იყოს დედამიწის ქერქის დახრის ზომა წყალდიდობების დროს წარმოქმნილ ძალებში [5]. სეისმური ფონის სტრუქტურის კვლევა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ როგორც მიკროსეისმური ფონის არსებობა, ასევე დაბალსიხშირიანი იმპულსური რხევები, რომელსაც აქვს არასტაციონარული ხასიათი, ასევე კვაზისტაციონარული არები [6]. ასეთი რხევები დაკავშირებულია დედამიწის ქერქის ქანების მოძრაობასთან.

ქვემოთ გთავაზობთ მეთოდს გრძელერით-დიანი რხევების აღმოჩენისა და გამოყოფისათვის, ასევე სეისმური ფონის ჩაწერას სიხშირის დაპაზონში, რომელიც ვრცელდება სეისმოგრაფის სტანდარტული სიხშირის ფარგლებს გარეთ.

**ბლოკების ბუნებრივი რხევები.** დედამიწის ქერქი არ არის მთლიანი გარემო, ის დისკრეტული ბლოკების სისტემა, რომელთა შორის არსებობს უფრო რბილი და ფორმვანი მასის “არები” ხარვეზებით და ბზარებით, რომლის გასწვრივ ხდება დედამიწის ბლოკების ქერქის მოძრაობა. ბლოკის რხევითი მოძრაობის მარტივი ანალოგი ზამბარაზე მასის რხევაა. ასეთი მოდელის განსახილველად აუცილებელია ვიცოდეთ სისტემის პარამეტრები.

იმისათვის, რომ დავახასიათოთ დეფორმაციული ბზარების თვისებები, ნორმალურ მახასიათებლად შემოაქვთ  $k_n$ , ხოლო  $k_s$  მკრის ზედაპირის სიმტკიცე რდგვევის მახასიათებლად [7]:

$$k_n = \frac{d\sigma_n}{dW_n}, \quad k_s = \frac{d\tau}{dW_s},$$

სადაც  $\sigma_n$  არის ნორმალური, ხოლო  $\tau$  – ძერის ეფექტური დაბაბულობა, ბზარის მიღამოებში მოქმედი;  $W_n$  და  $W_s$  – ნორმალური და დაძრული კიდეები. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოვიყენოთ “საშუალო” სიმტკიცე:  $\bar{k} = \frac{\sigma_{t_{\max}}}{u t_{\max}}$ ,

სადაც  $t_{\max}$  დროის მომენტია, რომლის დროსაც დაბაბულობა მაქსიმუმს აღწევს.

თუ განხილვიდან გამოვრიცხავთ 100 გ მცირე ბზარებს, მაშინ დამოკიდებულება ნგრევის ზედაპირის საშუალო და ნორმალურ სიმტკიცეს შორის [8]:

$$k_n = 837 \cdot L^{-0.41},$$

სადაც  $k_n$  სიმტკიცეა, გა/მ;  $L$  კმ – რდგვევის სიგრძე.

“ზამბარაზე მასის მოძრაობის” მარტივი მოდელის პრინციპის შესაბამისად, ზომის ბლოკი  $L \times 1 \times H$   $k_n$  სითხის ზედაპირზე შეიძლება აღიწეროს საკუთარი რხევის სიხშირით:

$$f_r = \frac{1}{2\pi} \sqrt{\frac{kLH}{\rho L^2 H}} = \frac{1}{2\pi} \sqrt{\frac{k}{\rho L}} = \\ = \frac{1}{2\pi} \sqrt{\frac{837 \cdot 4,25 \cdot L^{-0.41} \cdot 10^6}{3 \cdot 10^3 \cdot L}} \approx \frac{155}{L^{0.71}} \frac{1}{c},$$

სადაც  $L$  იზომება მეტრებით. ბზარების მაღალ სიმჭიდროვეს რდგვევის ზონაში, რომელთა ნაწილი შევსებულია სითხით, მივყავართ იქამდე, რომ  $k_s$  ზედაპირის რდგვევის სიმტკიცეს მახასიათებლი ნორმაზე საგრძნობლად დაბალი იქნება. ვითვალისწინებთ რა  $k_s = 0,1k_n$ , მივიღებთ:

$$f_s \sim \frac{50}{L^{0.71}} \frac{1}{c}.$$

ამგვარად,  $L \sim 10$  კმ ბლოკები მოსალოდნელია დაგახასიათოთ  $T \sim \frac{1}{f_s}$  რხევის პერიოდით ათობით წამში.

ასეთი ბლოკების ბუნებრივი რხევების გარდა, სეისმური აღშფოთების გავრცელებისას გარემოში წარმოქმნება ისეთი სიხშირით რხევები, რომელიც ასახავს ბლოკების საზღვრებს შორის მოძრაობას:

$$f_i = \frac{C}{2L_i},$$

სადაც  $C$  გარემოში რხევის გავრცელების სიჩქარეა.  $L_i$  – ბლოკის მახასიათებელი ზომა  $i$ -ური იერარქიულ დონეზე.

თანაფარდობა, რომელიც ბლოკებს შორის კონტაქტის დეფორმაციის მახასიათებელს აღწერს, შეიძლება მიღებულ იქნეს ექსპრიმენტიდან სეისმური მეთოდებით. დეფორმაციული რდგვევის მახასიათებლის სხვადასხვა წყობის და მასტების ინსტრუმენტული კვლევა ტარდებოდა წლების განმავლობაში [9,11,12]. როგორც გაზომვის შედეგი გვთვალისწინებს [11], საშუალო და ნორმალური სიმტკიცის საშუალო ძვრა მცირდება მაქსიმალური დეფორმაციის ზრდისას და გამოისახება შემდგენ გამოსახულებით:

$$\bar{k} = \frac{\bar{k}_0}{[1 + (\varepsilon / \varepsilon_*)^m]},$$

სადაც  $\bar{k}_0$  ბზარის სიმტკიცის მნიშვნელობაა, როცა  $\varepsilon \rightarrow 0$ , ხოლო  $m$  და  $\varepsilon_*$  პარამეტრებია.

მათი მახასიათებლის მნიშვნელობა  $m \sim 0,3 \varepsilon_* \sim 10^{-8} - 10^{-9}$  ტოლია ნორმალური დეფორმაციისას, ხოლო ძვრისათვის კი  $m \sim 0,8 \varepsilon_* \sim 10^{-6} - 10^{-8}$ .

### 3. დასკვნა

ჩვენი პლანეტა იმყოფება დიდი რაოდენობის, სხვადასხვა ხასიათის ველების ზემოქმედებაში, რომელიც ვარირებს ფართო დიაპაზონის სპექტრში. დაბალი სიხშირის რეგიგის შესწავლა შეიძლება სასარგებლო იყოს დინამიკური მოვლენების

მომზადების, დაძაბულობის, დეფორმაციის და გროვების შესწავლისას. ფილტრაციის სპეციალური მეთოდების განხილვა და კვლევა საშუალებას მოგვცემს დაგარეგისტრიროთ დაბალხიზირიანი სეისმური რხევა, რომლებიც არ გამოიყოფა სეისმოგრაფის გამოსავალზე.

მაღივრებულებული ჯაჭვის ინტეგრატორის კორექციის სქემის განხილვისას უკუავშირის მარყუჟი შეიძლება გამოვიყენოთ იმპულსური რხევების აღმოსაჩენად, სეისმური მოვლენის ჩასაწერად და სიხშირული დიაპაზონის გაფართოებისათვის დაბალი სიხშირის საზომ ხელსაწყოებში.

**UDC 550.34**

## INVESTIGATION OF THE SEISMIC OSCILLATIONS IN THE LONG-PERIOD RANGE OF SPECTRUM

**I. Kutsia, V. Kekenadze**

Department of management systems, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the possibility of recording low-frequency oscillations in microseismic noise before earthquakes. The characteristic period of fluctuations of the earth crust block can be moved to the low-frequency part of spectrum, reaching values of the periods in hundreds seconds, when the zone of the earth crust transfers to a metastable state. For detection of such long-period oscillations in microseismic noise, special filtration methods are to be used.

**Key words:** earthquake; seismic vibrations; long-period oscillations.

**УДК 550.34**

## ИССЛЕДОВАНИЕ СЕЙСМИЧЕСКИХ КОЛЕБАНИЙ В ДЛИННОПЕРИОДНОЙ ЧАСТИ СПЕКТРА

**Куция И.С., Кекенадзе В.М.**

Департамент систем управления, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассматривается возможность регистрации низкочастотных колебаний, которые, возможно, присутствуют в микросейсмическом фоне перед землетрясениями. При переходе участка земной коры в метастабильное состояние характерный период колебаний блока земной коры может смещаться в низкочастотную часть спектра, достигая значений периодов в сотни секунд. Для обнаружения в результатах регулярных наблюдений таких длиннопериодных колебаний на фоне микросейсмического шума необходимо использовать специальные методы фильтрации.

**Ключевые слова:** землетрясение; сейсмические колебания; длиннопериодные колебания.

მიღებულია დასაბუქდად 02.07.13

### შაპ 6813

## დარეზერვებული სისტემის რიცხვითი მახასიათებლები აღდგენისა და პროფილაქტიკის შემთხვევაში

რ. კაკუბავა\*, გ. ფიფია, გ. მაკასარაშვილი, ლ. სიხარულიძე

კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.kakubava@gtu.edu.ge

**რეზიუმე:** განხილულია დარეზერვებული  
სისტემის საიმედოობის რიცხვითი მახასიათებ-  
ლები, როდესაც პროფილაქტიკის პერიოდი მუდ-  
მივია. დასმულია და ნაწილობრივ გამოყვლეუ-  
ლი პროფილაქტიკის პერიოდის ოპტიმიზაციის  
ამოცანა.

**საკვანძო სიტყვები:** დარეზერვებული სისტე-  
მა; მტყუნება; აღდგენა; მათემატიკური მოდელი;  
რიცხვითი მახასიათებლები.

### 1. შესავალი

ტექნიკური სისტემების საიმედოობის დონის-  
ძიებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია  
პროფილაქტიკური მომსახურება. ამ დონისძიე-  
ბის მიზანია ნაწილობრივ ან მთლიანად გა-  
ნაახლოს სისტემის საწყისი შესაძლებლობანი  
დროის დეტერმინირებულ ან შემთხვევით მო-  
მენტებში, გარკვეული სტრატეგიის შესაბამისად.  
იგულისხმება, რომ დროის მიხედვით იცვლება  
სისტემის საწყისი მახასიათებლები, კერძოდ  
იზრდება მტყუნებათა ინტენსიურობა. თუ მტყუ-  
ნებათა ინტენსიურობა უცვლელია, როგორც ეს  
ხდება უმტყუნებო მუშაობის ხანგრძლივობის  
ექსპონენტური განაწილების დროს, მაშინ პრო-  
ფილაქტიკა არ იძლევა რაიმე ეფექტს, ამიტომ  
მისი ჩატარება აზრს კარგავს. მაშასადამე, რო-  
ცა ვლაპარაკობთ პროფილაქტიკაზე, ვგულისხ-  
მობთ, რომ სისტემის უმტყუნობის ფუნქცია  
არის ინტენსიურობის ზრდადი ფუნქცია. სახ-  
ელდობრ, საიმედოობის ოქორიაში ფართოდ  
გავრცელებული ვეიბულის განაწილება, გამა-  
განაწილება, როცა მისი ფორმის პარამეტრი 1-  
ზე მეტია, ერლანგის განაწილება, თუ მისი რი-  
გი 1-ზე მეტია, ასეთი ტიპის ფუნქციებია. შემდ-  
გომში გამოსაკვლევი სისტემის საწყის მახასია-  
თებლად ვიგულისხმებთ მათი მტყუნებების მა-

თემატიკურ მოდელებს, ზემოაღნიშნული ტიპის  
განაწილებათა ფუნქციის სახით.

### 2. ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვლეულია  
დუბლირებული სისტემა, რომელიც ფუნქციონი-  
რებს დაუტირობა დარეზერვების რეჟიმში.  
განსაზღვრულია ადგენერისა და პროფილაქტიკის  
სტრატეგია და მიღებულია იმ სისტემის უმტყუ-  
ნებოდ მუშაობის X შემთხვევითი ხანგრძლივო-  
ბის საშუალო მნიშვნელობა

$$E(x) = [\bar{P}_i(s)]_{s=0}, \quad (1)$$

სადაც  $\bar{P}_i(s)$  არის  $P_i(t)$  ლაპლასის გარდაქმნა,  
სადაც

$$\begin{aligned} P_i(t) &= \int_0^t P_2(t-x)dQ_{i2}(x) + \\ &+ \int_0^t P_3(t-x)dQ_{i3}(x) + Q_i(t), \quad i = 1, 2, 3. \end{aligned} \quad (2)$$

(იხილეთ [1]-ის (2), (3) და (4) ფორმულები).

ამ ნაშრომში განვიხილავთ და უფრო დეტა-  
ლურად გამოვიყენეთ კერძო შემთხვევებს, რაც  
პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული. სახელ-  
დობრ, დავუშვათ, რომ პროფილაქტიკის პერი-  
ოდი მუდმივი, რაც ტოლი სიდიდეა, მაშინ

$$G_4(t) = \begin{cases} 0, & \text{თუ } t < \tau \\ 1, & \text{თუ } t \geq \tau \end{cases}$$

ამ შემთხვევაში გვექნება:

$$\bar{Q}_{i2}(s) = \int_0^\tau \exp(-st)dG_i(t),$$

$$Q_{i3}(s) = [1 - G_i(t)]\exp(-s\tau);$$

$$\bar{Q}_{22}(s) = \int_0^\tau \exp(-st)G_3(t)dG_i(t),$$

$$\begin{aligned}\bar{Q}_{32}(s) &= \int_0^\tau \exp(-st) G_2(t) dG_1(t); \\ \bar{Q}_{23}(s) &= \int_\tau^\infty \exp(-st) [1 - G_1(t)] dG_3(t) + ex[(st)[1 - G(\tau)] G_3(\tau)]; \\ \bar{Q}_{33}(s) &= \int_0^\tau \exp(-st) [1 - G_1(t)] dG_2(t); \\ \bar{Q}_1(s) &= \int_0^\tau \exp(-st) [1 - G_1(t)] dt; \\ \bar{Q}_2(s) &= \int_0^\infty \exp(-st) [1 - G_1(t)] dt - \\ &\quad - \int \exp(-st) [1 - G_1(t)] G_3(t) dt; \\ Q_3(s) &= \int_0^\infty \exp(-st) [1 - G_1(t)] dt - \\ &\quad - \int_\tau^\infty \exp(-st) [1 - G_1(t)] G_2(t) dt.\end{aligned}$$

ამიტომ (1)-დან მიიღება ასეთი გამოსახულება:

$$\begin{aligned}E(x) &= \int_0^\tau [1 - G_1(t)] dt + \\ &+ \frac{\bar{Q}_2(0) \left[ \beta_2 G_1(\tau) + \int_0^\tau G_2(t) dG_1(t) \right]}{\beta_1 \beta_2 + \beta_1 \int_0^\tau G_2(t) dG_1(t) + \beta_2 \int_0^\tau G_3(t) dG_1(t)} - \\ &- \frac{-\bar{Q}_3(0) \left[ \beta_1 [1 - G_1(\tau)] + \int_0^\tau G_3(t) dG_1(t) \right]}{\beta_1 \beta_2 + \beta_1 \int_0^\tau G_2(t) dG_1(t) + \beta_2 \int_0^\tau G_3(t) dG_1(t)}, \quad (3)\end{aligned}$$

სადაც

$$\begin{aligned}\bar{Q}_2(0) &= \mu - \int_\tau^\infty [1 - G_1(t)] G_3(t) dt, \\ \bar{Q}_3(0) &= \mu - \int_\tau^\infty [1 - G_1(t)] G_2(t) dt, \\ \mu &= \int_0^\infty [1 - G_1(t)] dt.\end{aligned}$$

ეს უკანასკნელი ხელსაწყოს უმტკუნებო მუშაობის საშუალო ხანგრძლივობაა. ამას გარდა

$$\beta_1 = \int_\tau^\infty [1 - G_3(t)] dG_1(t), \quad \beta_2 = \int_\tau^\infty [1 - G_2(t)] dG_1(t). \quad (4)$$

ეს სიდიდები ( $\beta_1$  და  $\beta_2$ ) არის ალბათობები მინა, რომ ძირითადი ხელსაწყოს მტკუნების

მომენტში სარეზერვო ხელსაწყოს აღდგენა ან პროფილაქტიკა ისევ გრძელდება.

საინტერესო კერძო შემთხვევებია:  $\tau = \infty$  და  $\tau = 0$ .  $\tau = \infty$  შეესაბამება სისტემის ფუნქციონირებას პროფილაქტიკის გარეშე. სისტემის უმტკუნებო საშუალო ხანგრძლივობა ამ დროს ასე გამოისახება:

$$E(\infty) = \frac{1 + \beta_1}{\beta_2} \mu. \quad (5)$$

როცა  $\tau = 0$ , მაშინ ყოველი აღდგენის შემდეგ იწყება ძირითადი ხელსაწყოს პროფილაქტიკა. მაშასადამე

$$E(0) = \frac{1}{\beta_2} \int_0^\infty [1 - G_1(xt)] [1 - G_2(t)] dt. \quad (6)$$

იმისათვის, რომ შესრულდეს უტოლობა

$$E(\infty) > E(0), \text{ სამარისია } \frac{\beta_1}{1 + \beta_2} < \beta_2.$$

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ შემთხვევის განხილვა, როცა აღდგენისა და პროფილაქტიკის დროები მუდმივი სიდიდეებია.

კოქვათ,  $\xi_2 = \tau_2$  და  $\xi_3 = \tau_3$ . მაშინ

$$G_2(t) = \begin{cases} 0, & \text{თუ } 0 \leq t < \tau_2 \\ 1, & \text{თუ } t \geq \tau_2, \end{cases}$$

$$G_3(t) = \begin{cases} 0, & \text{თუ } 0 \leq t < \tau_3 \\ 1, & \text{თუ } t \geq \tau_3. \end{cases}$$

ამის გარდა, მოვითხოვთ, რომ  $\tau_2 < \tau_3 \leq \tau$ , მაშინ

$$E(x) = \frac{\int_0^\tau [1 - G_1(t)] dt}{G_1(\tau_3) G_1(\tau) + G_1(\tau_2) [1 - G_1(\tau)]} [1 + G_1(\tau_3)].$$

გონივრული იქნება, თუ პროფილაქტიკის პერიოდად თავიდანვე ავიდებთ ისეთ სიდიდეს, რომ აღდგენა და პროფილაქტიკა დიდი ალბათობით მთავრდებოდეს ამ პერიოდის განმავლობაში, სხვანარად რომ კოქვათ,  $G_2(\tau) \approx 1$  და  $G_3(\tau) \approx 1$ , მაშინ მივიღებთ:

$$\beta_1 \approx \int_\tau^\infty [1 - G_3(t)] dG_1(t), \quad \beta_2 \approx \int_\tau^\infty [1 - G_2(t)] dG_1(t).$$

ამ შემთხვევაში მართებულია მიახლოებითი ფორმულა:

$$E(x_\tau) \approx \tilde{E}(x_\tau) = \frac{\int_0^\tau [1 - G_1(t)] dt}{\beta_1 G_1(\tau) + \beta_2 [1 - G_1(\tau)]} (1 + \beta_1).$$

მიღებული შედეგების საილუსტრაციოდ, აგრეთვე პრაქტიკულად საინტერესო დასკვნების მისაღებად, განვიხილოთ მაგალითი.

ვთქვათ, ძირითადი ხელსაწყოს უმტყუნებო მუშაობის ხანგრძლივობის განაწილების ფუნქცია არის მეორე რიგის ერლანგის განაწილება ა პარამეტრით, ხოლო პროფილაქტიკასა და აღდაგენის ხანგრძლივობები ექსპონენტური შემთხვევითი სიდიდეებია, შესაბამისად,  $1/\tau_2$  და  $1/\tau_3$  პარამეტრებით, მაშინ

$$\begin{aligned} G_1(t) &= 1 - (1 + \alpha t) \exp(-\alpha t); \\ G_2(t) &= 1 - \exp(-t/\tau_2), \\ G_3(t) &= 1 - \exp(-t/\tau_3). \end{aligned} \quad (7)$$

$\beta_1$  და  $\beta_2$  სიდიდეებისათვის (4)-დან

$$\beta_1 = \left[ \frac{\alpha}{\alpha + \frac{1}{\tau_2}} \right]^2, \quad \beta_2 = \left[ \frac{\alpha}{\alpha + \frac{1}{\tau_3}} \right]^2. \quad (8)$$

ვთქვათ, მაგალითად,

$$\alpha = 0,01 \text{ სთ}, \quad \tau_2 = 1,5 \text{ სთ}, \quad \tau_3 = 10 \text{ სთ},$$

მაშინ

$$\beta_1 = 0,15 \cdot 10^{-3}; \quad \beta_2 = 0,5 \cdot 10^{-5}.$$

შევადგინოთ ცხრილი სათანადო გამოთვლების საფუძველზე

$\tau$	15 სთ	30 სთ	64,3 სთ	280 სთ	1500 სთ	$\infty$
$E(x_\tau)$	20414 8 სთ	27215 4 სთ	38424 5 სთ	28046 6 სთ	20217 2 სთ	20111 2 სთ
$\Delta E(x_\tau)$	-8,4 %	48,3%	94,2%	22,4%	0,20%	0

ამ ცხრილში მოცემულია დუბლირებული სისტემის უმტყუნებო მუშაობის  $E(x_\tau)$  საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელობები  $\tau$  პროფილაქტიკის პერიოდის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის, აგრეთვე  $E(x_\tau)$  სიდიდის შესაბამისი ფარდობითი ნამატი პროცენტობით:

$$\Delta E(x_\tau) = \frac{E(x_\tau) - E(\infty)}{E(\infty)} \cdot 100\%.$$

მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ელემენტის უმტყუნებო მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა  $\mu = 200$  სთ, ასე, რომ, (5)-ის თანახმად,  $E(\infty) = 280463$  სთ.

ცხრილიდან ჩანს, რომ პროფილაქტიკის პერიოდი დიდ გავლენას ახდენს  $E(x_\tau)$ -ს მნიშვნელობაზე. მცირე პერიოდი ( $\tau \leq 15$  სთ) უარყოფითად მოქმედებს ამ შემთხვევაში, ამცირებს  $E(\infty)$ -ს, ხოლო ძალიან დიდი ( $\tau \leq 1500$  სთ) არ იძლევა შესამჩნევ ნამატები. ამავე დროს  $\tau = 64,3$  დუბლირებული სისტემის უმტყუნობა 1,94-ჯერ იზრდება იმასთან შედარებით, როცა პროფილაქტიკია არ ხდება. აღნიშნული გარემოება ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ  $E(x_\tau)$  მაქსიმალური მნიშვნელობის მისაღწევად აუცილებელია პროფილაქტიკის პერიოდის  $\tau = \tau^*$  ობიექტის მნიშვნელობის პოვნა. კერძო შემთხვევაში, (7)-ის გათვალისწინებით,  $dE/d\tau = 0$  აუცილებელი პირობიდან მიიღება განტოლება  $\tau^*$ -ის მოსაძებნად:

$$\begin{aligned} \frac{1}{1+\alpha\tau} \left[ [2\alpha\tau + \exp(\alpha\tau)] \left[ (\alpha+1/\tau_2)^2 + (\alpha+1/\tau_3)^2 \right] - \right. \\ \left. - \alpha^2 \left[ \exp(-(\alpha+1/\tau_3)\tau) \right] \times \right. \\ \left. \times \exp(\alpha+1/\tau_2)^2 \right] = (\alpha+1/\tau_2)^2. \end{aligned} \quad (9)$$

თუ  $\tau^*$  ამ განტოლების ამონასსნია, მაშინ

$$E(x_{\tau^*}) = \frac{[2\alpha\tau^* - \exp(-\alpha\tau^*)] \left[ \left( \alpha + \frac{1}{\tau_3} \right)^2 + \alpha^2 \right] - \alpha^2 \exp \left[ - \left( \alpha + \frac{1}{\tau_3} \right) \tau^* \right]}{\alpha^4 \cdot \tau^*}$$

ჩვენ მიერ განხილული მაგალითის შემთხვევაში (9)-ის ამონასსნია  $\tau^* = 64,3$  სთ, რაც ასახულია ცხრილში. ამ შემთხვევაში დუბლირებული სისტემის უმტყუნებოდ მუშაობის ხანგრძლივობაა 38424 სთ.

### 3. დასკვნა

ნაშრომში [1] განხილული სისტემისათვის ავაგეთ სისტემის მათემატიკური მოდელი, მათში შემავალი შემთხვევითი სიდიდეებისათვის, რომლებსაც ზოგადი განაწილება აქვს. ასევე, განვიხილეთ და დეტალურად გამოვიყვანიეთ მნიშვნელოვანი კერძო შემთხვევები. მივიღებთ სისტემის საიმედოობის რიცხვითი მახასიათებლები, როდესაც პროფილაქტიკის პერიოდი მუდმივი სიდიდეა.

**ლიტერატურა**

1. რ. კაკუბავა, გ. ფიფია, გ. მაკასარაშვილი, ლ. სიხარულიძე. დარეზერვებული სისტემის ალბათური მოდელირება ადგენისა და პროფილაქტიკის შემთხვევაში // სტუ-ს გროვები. 2013.
2. R. Kakubava and R. Khurodze. Probabilistic of the Downtime of a Duplicated System with Recovery and Swithing. Automation and Remote Control, 2000, V. 1, N 9, Part 1, pp.1489-1494, plenum Publishing Corporation, USA, W.Y.
3. Гнеденко Б.В., Беляев Ю.К., Соловьев А.Д. Математические методы в теории надежности. М.: Наука, 1965.

**UDC 681.3****NUMERICAL CHARACTERISTICS OF THE STAND-BY SYSTEMS WITH RENEWAL AND PREVENTIVE MAINTENANCE****R. Kakubava, G. Pipia, G. Makasarashvili, L. Sikhurulidze**

Department of computer engineering, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are obtained the numerical characteristics of the stand-by system with renewable and preventive maintenance in the case of constant preventive period. The problem optimization is stated and partially investigated.

**Key words:** stand-by system; failure; renewal; preventive maintenance; mathematical model; numerical characteristics.

**УДК 681.3****ЧИСЛОВЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ РЕЗЕРВИРОВАННОЙ СИСТЕМЫ С ВОССТАНОВЛЕНИЕМ И ПРОФИЛАКТИКОЙ****Какубава Р.В., Пипия Г.М., Макасарашвили Г.З., Сихарулидзе Л.И.**

Департамент компьютерной инженерии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Получены числовые характеристики надежности резервированной системы в случае постоянного периода профилактики; поставлена и частично исследована задача оптимизации периода профилактики.

**Ключевые слова:** резервированная система; отказ; восстановление; профилактика; математическая модель; числовые характеристики.

**გთხობულია დასაბუქრავ 11.07.13**

### შაპ 6813

## დარეზერვებული სისტემის ალბათური მოდელირება აღდგნისა და კრიზისურაჟის შემთხვევაში

**რ. კაკუბავა\*, გ. ფიფია, გ. მაკასარაშვილი, ლ. სიხარულიძე**

კომპიუტერული ინჟინერის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, ქოხეგას 77

E-mail: r.kakubava@gtu.edu.ge

**რეზიუმე:** განხილულია დარეზერვებული სისტემა აღდგენადი ელემენტებით პროფილაქტიკური მომსახურების შემთხვევაში. შესწავლილია დაუტვირთავი დარეზერვების რეჟიმი. ხელსაწყოთა უმტკუნებო მუშაობის, აგრეთვე აღდგენის ხანგრძლივობები ზოგადი კანონით განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია, აგებულია და ნაწილობრივ გამოკვლეული სისტემის ანალიზური მათემატიკური მოდელი, ინტეგრაციურ განტოლებათა სახით.

**საკუნძო სიტყვები:** დარეზერვებული სისტემა; მტკუნება; აღდგენა; მათემატიკური მოდელი.

### 1. შესავალი

საიმედოობის მათემატიკური თეორიის ძირითადი მიმართულებაა დარეზერვებული სისტემების მოდელირება და ანალიზი. ამასთან, დარეზერვებულ სისტემებს შორის პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული შემთხვევა დუბლირებული სისტემები, ამიტომ ამ სისტემების შესწავლას ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერების მრავალი ნაშრომი და მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები. ამავე დროს ამ თემაზიების მრავალი არსებითი ასპექტი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამ ტიპის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას ქვემოთ განვიხილავთ. ტექნიკური სისტემების საიმედოობის უზრუნველყოფის დონისძიებათა შორის მისი ელემენტების აღდგენის (რემონტის) გარდა, ასევე მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური მომსახურება. ამ დონისძიების მიზანია ნაწილობრივ ან მთლიანად განაახლოს სისტემის საწყისი შესაძლებლობა დროის დეტერმინირებულ ან შემთხვევით მომენტებში, გარკვეული სტრატეგიის შესაბამისად. იგულისხმება, რომ დროის მიხედვით იცვლება სისტემის საწყისი მახასიათებლები, კერძოდ იზრდება მტკუნებათა ინტენსიურობა. თუ მტკუნებათა ინტენსიურობა

უცვლელია, როგორც ეს ხდება უმტკუნებო მუშაობის ხანგრძლივობის ექსპონენტური განაწილების დროს, მაშინ პროფილაქტიკა არ იძლევა რაიმე ეფექტს, ამიტომ მისი ჩატარება აზრს კარგავს. მაშასადამე, როცა ვლაპარაკობთ პროფილაქტიკაზე, ვგულისხმობთ, რომ სისტემის უმტკუნებობის ფუნქცია არის ინტენსიურობის ზრდადი ფუნქცია. სახელდობრ, საიმედოობის თეორიაში ფართოდ გავრცელებული ვეიბულის განაწილება, გამა-განაწილება, როცა მისი ფორმის პარამეტრი 1-ზე მეტია, ერლანგის განაწილება, თუ მისი რიგი 1-ზე მეტია, აგრეთვე წაკვეთილი ნორმალური განაწილება არის ადნიშნული ტიპის ფუნქციები. შემდგომი მიზნებისათვის გამოსაკვლევი სისტემის საწყის მახასიათებლად ვიგულისხმებო მათი მტკუნებების მათემატიკურ მოდელებს, ზემოაღნიშნული ტიპის განაწილებათა ფუნქციის სახით.

### 2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ დუბლირებული სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს დაუტვირთავი დარეზერვების რეჟიმში, აღდგენისა და პროფილაქტიკის შემდგები სტრატეგიით: სისტემა შედგება ძირითადი და სარეზერვო ხელსაწყოებისაგან. ძირითადი ხელსაწყოს მტკუნების მომენტში მის ფუნქციებს მყის აგრძელებს სარეზერვო და ის ძირითადი ხდება და მაშინვე იწყება მტკუნებული ხელსაწყოს აღდგენისა. აღდგენის შემდეგ იგი ხდება სარეზერვო და იმყოფება დაუტვირთავ რეჟიმში. თუ მის აღდგენამდე გამტკუნდება ძირითადი ხელსაწყო (რომელიც ადრე იყო სარეზერვო), ეს ნიშნავს დუბლირებული სისტემის მტკუნებას. სისტემის საიმედოობის ამაღლების მიზნით ხდება პროფილაქტიკური შეცვლაც, რაც შემდეგნაირად ხორციელდება: თუ სისტემის ელემენტი არ გამტკუნდება დროის რაიმე შემთხვევით ან მოცემულ ინტერვალში, მაშინ ამ ინტერვალის ბოლოს იწყება მისი სრული პროფილაქტიკური აღდგენი (პროფილაქტიკა), რომ

ლის შემდეგ ის, საიმედოობის თვალსაზრისით, ხდება საწყისი ხელსაწყოს იდენტური. პროფილაქტიკის დაწყების სარეზერვო ხელსაწყო, თუ ის ქმედობაუნარიანია, იკავებს ძირითადის აღილს. პროფილაქტიკური აღდგენის ხანგრძლივობა შემთხვევითი სიდიდეა ზოგადი განაწილებით. თუ პროფილაქტიკის დაწყების დათქმულ მომენტი სარეზერვო ხელსაწყო მტკუნებულია, მაშინ პროფილაქტიკა გადაიდება მის აღდგენამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება დუბლირებული სისტემის მტკუნება.

